„პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 7 მაისი, 1946 წ. № 91 (7564). ფასი 20 კაპ.

ვაჩაღებთ რა მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას, ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ ხრიკები საერთაშორისო რეაქციისა, რომელიც გულში ატარებს ახალი ომის გეგმებს. საჭიროა გვახსოვდეს დიდი ლენინის მითითება, რომ, გადავდივართ რა მშვიდობიან შრომაზე, მუდამ ფხიზლად უნდა ვიყოთ, თვალისჩინივით გავუფრთხილდეთ ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებსა და თავდაცვისუნარიანობას.

ი. სტალინი

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ცნობა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სახელმწიფო სესხი, რომელიც გამოშვებულ იქნა 1946 წლის 4 მაისს 20 მილიარდი მანეთის რაოდენობით, 5 მაისის დღის ბოლოსათვის გავრცელებულია 20 მილიარდ 447 მილიონი მანეთის რაოდენობით.

სესხზე ხელმოწერა გრძელდება.

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი ა. ზვერევი

1946 წლის 6 მაისი.

საბჭოთა პატრიოტიზმის მძლავრი დემონსტრაცია

უდიდესი პოლიტიკური აღმავლობით დაიწყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სახელმწიფო სესხზე ხელმოწერა. იგი გადაიქცა საბჭოთა პატრიოტიზმის ახალ მძლავრ დემონსტრაციად, რაც ერთხელ კიდევ მოწმობს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა მაღალ შეგნებულობას, მათ პოლიტიკურ აქტივობას, მზადყოფნას — ყველაფერი გააკეთონ სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და დიდებისათვის.

ხალხთა ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა** თავის საპირველმაისო ბრძანებაში აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყნის მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ ახალი ხუთწლიანი გეგმა მიიღეს, როგორც საბრძოლო პროგრამა, რომელიც მათ საარსებო ინტერესებს შეესაბამება. „შეიძლება იმედი ვიქონიოთ, — სთქვა დიდმა სტალინმა, — რომ საბჭოთა ადამიანები, კომუნისტური პარტიის მეთაურობით, არ დაიშურებენ ძალებსა და შრომას იმისათვის, რომ არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულონ ახალი ხუთწლედი“.

სწორედ მეოთხე სტალინური ხუთწლედით დასახული გრანდიოზული ამოცანების წარმატებით განხორციელებას ისახავს მიზნად საბჭოთა მთავრობის მიერ გამოშვებული ახალი სესხი. ეს კარგად შეიგნეს ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა. სესხის გავრცელების პირველსავე დღეს მათ თვითონვე წამოაყენეს ლოზუნგი:

— სწრაფად მოვუშუშოთ სამშობლოს ომით მიყენებული ჭრილობები, დავაჩქაროთ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღმავლობა!

— მივცეთ საბჭოთა სამშობლოს სესხად ჩვენი დანაზოგი!

ასე ლაპარაკობდნენ ახალი სესხის გავრცელებისადმი მიძღვნილ მიტინგებზე სიტყვით გამოსული საბჭოთა ადამიანები. ისინი ხელს აწერდნენ სესხზე და ახალ, დამატებითს საწარმოო ვალდებულებებს კისრულობდნენ.

საბჭოთა სესხები უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობენ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაში. ამიტომ ისინი უდიდესი წარმატებითაც ვრცელდებიან.

მიღებული ცნობები ადასტურებენ, რომ ამ მხრივ მაგალითს წარმოადგენენ მოსკოვი, ლენინგრადი, სტალინგრადი. ბევრგან სესხზე ხელმოწერა პირველ დღესვე დამთავრდა.

საქართველოს რესპუბლიკაში ახალ სესხზე ხელმოწერამ პირველ ორ დღეს ნავარაუდევ თანხას 14 მილიონ 920 ათასი მანეთით გადააჭარბა. სულ გავრცელდა 527 მილიონ 920 ათასი მანეთის სესხი. ხელმოწერაში ერთსულოვნად ჩაებნენ როგორც ქალაქის, ისე სოფლის მშრომელები. ახალი სესხი განსაკუთრებული წარმატებით გავრცელდა აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, რესპუბლიკის 53 რაიონში. მოწინავეთა შორის არიან მახარაძის, ცხაკაიას, წყალტუბოს, ლანჩხუთის, ქუთაისის რაიონები. ჩვენს დედაქალაქში ახალი სესხის უმაგალითო წარმატებას მოწმობს მისი გავრცელება 105.998.000 მანეთის რაოდენობით.

ახალ სესხზე ხელმოწერა გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ სესხის გავრცელების დროს ჩვენი ლოზუნგია — „მივცეთ სესხად სახელმწიფოს 3-4 კვირის ხელფასი!“, — ბევრგან მშრომელები სესხზე ხელს აწერენ ერთი თვის, თვენახევრისა და ხშირ შემთხვევაში ორი თვის ხელფასის რაოდენობით. მარტო ეს ფაქტი გვიჩვენებს, თუ რა სიყვარულით ეკიდებიან მშრომელები საბჭოთა სამშობლოს, მის ინტერესებს, მის კეთილდღეობას.

ახალი სესხის გავრცელება ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ენერგიულ, ზუსტ, ოპერატიულ მუშაობას. პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილება პროფესიულ ორგანიზაციებს ავალებს ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ახალი სესხის გავრცელებას, დაეხმარონ სესხის გავრცელების ორგანიზატორებს, საწარმო-დაწესებულებათა ხელისშემწყობ კომისიებს, სასოფლო საბჭოების რწმუნებულებს თავიანთი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებაში.

სოფლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხელმოწერის ფულის შეგროვებას. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გლეხები ნაღდ ფულზე იძენენ ობლიგაციებს. ამიტომ სოფლად ხელმოწერის თანხის ვადამდე შეტანის ორგანიზაციას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

საჭიროა ახალი სესხის მიზანი და მნიშვნელობა თვითეულმა საბჭოთა ადამიანმა კარგად იცოდეს. მას ღრმად უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ სესხისაგან მიღებული სახსრები მოხმარდება ჩვენი ქვეყნის სამხედრო-ეკონომიური ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, სახალხო მეურნეობის ახალ აღმავლობას.

საბჭოთა ადამიანები უდიდესი წარმატებით ავრცელებენ ახალ სესხს და ამით პატრიოტულ ვალს იხდიან სოციალისტური სამშობლოს წინაშე. ახალ სესხზე ხელმოწერის ძეთი უმაგალითო წარმატება ნამდვილად წარმოადგენს პატრიოტიზმის მძლავრ დემონსტრაციას, იმის გარანტიას, რომ მეოთხე სტალინური ხუთწლედით დასახულ ამოცანებს საბჭოთა ადამიანები ბოლშევიკურად განახორციელებენ.

ერთსულოვნად მოვაწეროთ ხელი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სახელმწიფო სესხს, ბოლშევიკურად შევასრულოთ მეოთხე სტალინური ხუთწლედით ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები!

ზეიმი პიონერთა სასახლეში

ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა სასახლეს არსებობის ხუთი წელი შეუსრულდა. ამ დღის აღსანიშნავად 5 მაისს სასახლეში შესდგა საზეიმო სხდომა.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები: ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. კუპრაძე, ი. ზოდელავა, აკადემიკოსები ნ. კეცხოველი და ქ. კეკელიძე, სახალხო პოეტი ი. გრიშაშვილი, პიონერები, მოსწავლეები.

საზეიმო სხდომა გახსნა სასახლის დირექტორმა ამხ. ე. აგლაძემ.

ფრიადოსანი მოსწავლის პიონერ გ. თოთიბაძის წინადადებით საპატიო პრეზიდიუმში მქუხარე ტაშით არჩეულ იქნა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე ამხანაგები ჩარკვიანი, ბაქრაძე, მიხაილოვი.

ქართველი ხალხის საამაყო შვილის, ახალგაზრდობის საუკეთესო მოამაგის ამხანაგ ლ. პ. ბერიას მიერ სასახლის სახელზე გამოგზავნილი მისასალმებელი დეპეშის ტექსტი წაიკითხა ფრიადოსანმა მოსწავლემ, პიონერმა მედეა კანდელაკმა.

დარბაზში გრიალებს ტაში, გაისმის მქუხარე შეძახილები დიდი სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლის ამხანაგ ბერიას პატივსაცემად.

თბილისის პიონერთა სასახლის არსებობის ხუთი წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა სასახლის დირექტორმა ამხ. ე. აგლაძემ.

პიონერებსა და მოსწავლეებს გულთბილად მიესალმნენ აკადემიკოსები ნ. კეცხოველი და ქ. კეკელიძე. ქალაქ გორის პიონერთა დელეგაციის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა მედეა ბათმანიშვილმა, ნახიმოვის სახელობის სასწავლებლიდან— მოსწავლე სემიონოვმა, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის სახელით — ნ. ქვანიამ. სახალხო პოეტმა ი. გრიშაშვილმა თავისი სიტყვა დაამთავრა ლექსით — „ბედნიერებო, გამოდით გარეთ!“

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს ამხანაგებს ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას, კ. ჩარკვიანს, ვ. ბაქრაძეს, გ. სტურუას და ნ. მიხაილოვს.

დასასრულ პიონერთა სასახლის თვითმოქმედმა წრეებმა დამსწრეთ უჩვენეს თავიანთი შემოქმედების ნიმუშები.

მეორე განყოფილებაში სასახლის დრამატიულმა წრემ წარმოადგინა პიესა „ბაში-აჩუკი“.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის სასურსათო რეზერვების სამინისტროს შექმნის შესახებ

შეიქმნას სსრ კავშირის სასურსათო რეზერვების სამინისტრო და გადაეცეს მას მთელი სახელმწიფო სასურსათო რეზერვები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. შვერნიკი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1946 წ. 4 მაისი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის სასურსათო რეზერვების მინისტრად ამხ. დ. ი. ფომინის დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის სასურსათო რეზერვების მინისტრად დაინიშნოს ამხ. დიმიტრი ივანეს-ძე **ფომინი**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. შვერნიკი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1946 წ. 4 მაისი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის მატერიალური რეზერვების სამინისტროს შექმნის შესახებ

შეიქმნას სსრ კავშირის მატერიალური რეზერვების სამინისტრო და გადაეცეს მას მთელი სახელმწიფო მატერიალური რეზერვები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. შვერნიკი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1946 წ. 4 მაისი.

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის მატერიალური რეზერვების მინისტრად ამხ. მ. ვ. დანჩენკოს დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის მატერიალური რეზერვების მინისტრად დაინიშნოს ამხ. მიხეილ ვასილის-ძე **დანჩენკო**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. შვერნიკი**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი**

მოსკოვი, კრემლი. 1946 წ. 4 მაისი.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოში

პროფორგანიზაციების მონაწილეობა რადიოს დღის ჩატარებაში

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ წინადადება მისცა პროფკავშირულ ორგანიზაციებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ რადიოს დღის ჩატარებაში იმ მიზნით, რომ გასწიონ ჩვენი ქვეყნის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების პოპულარიზაცია რადიოს დარგში, წაახალისონ რადიომოყვარულობა მოსახლეობის ფართო ფენებში. პროფკავშირებმა თავდაცვაავიაქიმის ორგანიზაციებთან ერთად უნდა მოაწყონ რადიოტექნიკის, რადიოაპარატურისა და რადიომიმღებთა გამოფენები, ჩაატარონ რადიოს ისტორიისა და ტექნიკისადმი, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობასა და თავდაცვაში, მასების კულტურულ აღზრდაში მისი მნიშვნელობისადმი მიძღვნილი საუბრები და ლექციები.

პროფორგანიზაციებს დაევალათ შექმნან კულტურის სასახლეებში, წითელ კუთხეებში, კლუბებსა და რადიოკვანძებში რადიომოყვარულთა წრეები, უზრუნველჰყონ ისინი საჭირო აპარატურით, მასალებით, ინსტრუმენტებით, ლიტერატურით. საჭიროა აგრეთვე მოეწყოს რადიოწრეები მოსწავლეთაგან, ხოლო მათს ხელმძღვანელობაში ჩაბმულ იქნან რადიოკვანძების მუშაკები და გამოცდილი რადიომოყვარულები.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს სამდივნომ წინადადება მისცა ცენტრალურ, საოლქო და საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს მაისის, ივნისისა და ივლისის განმავლობაში კავშირგაბმულობის სამინისტროს ტექნიკური ინსპექციის ორგანოებთან ერთად შეამოწმონ ყველა პროფკავშირული კვანძის მდგომარეობა საწარმოებში, წესრიგში მოიყვანონ ისინი, გააფართოონ რადიოსატრანსლაციო ქსელი, რისთვისაც გამოიყენონ კვანძების მთელი სიმძლავრე. საჭიროა რადიოფიცირებულ იქნას მუშა-მოსამსახურეთა ბინები, საერთო საცხოვრებლები და წითელი კუთხეები.

პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტებს დაევალათ ჩაატარონ პროფკავშირთა რადიოკვანძების სრული აღრიცხვა, პასპორტიზაცია და 1 ივლისამდე აცნობონ ამ მუშაობის შედეგები პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს. (საკდესი).

„პრავდა“ ჩვენი ქვეყნის დაშორებულ კუთხეებში

ტაშკენტი, 6 მაისი. (საკდესი). აქ ყოველ საღამოს მოსკოვიდან თვითმფრინავით ჩამოაქვთ გაზეთ „პრავდის“ მატრიცები. ისინი მიაქვთ სტამბაში, მეორე დილას კი უზბეკეთის დედაქალაქის ხელისმომწერნი იღებენ „პრავდის“ ახალ ნომერს. იმავე დღეს თვითმფრინავებსა და მატარებლებს გაზეთის დაბეჭდილი ტირაჟები ტაშკენტიდან მიაქვთ უზბეკეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთისა და სამხრეთ ყაზახეთის ყველა საოლქო და მრავალ რაიონულ ცენტრში.

რესპუბლიკის ისეთი დაშორებული პუნქტები, როგორიცაა ხორეზმი და ყარა-კალფაკეთი, შარშან „პრავდას“ ორი კვირის დაგვიანებით იღებდნენ. ახლამად გაზეთი აქ მესამე-მეოთხე დღეს მისდით.

აღმოსავლეთის ხაზებზე საზაფხულო ნავიგაციის დაწყების შემდეგ ტაშკენტში დაბეჭდილი „პრავდის“ ტირაჟი გადიდდება და მას შუა აზიის რესპუბლიკის თითქმის ყველა რაიონული ცენტრი მიიღებს.

ახალი სესხისადმი მიძღვნილი ბროშურები და პლაკატები

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ გამოუშვა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სესხისადმი მიძღვნილი ბროშურები და პლაკატები.

ერთ-ერთი ბროშურა გამოცემულია აგიტატორებისა და მომხსენებლებისათვის და შეიცავს მასალებს საბჭოთა სესხების როლისა და მნიშვნელობის შესახებ, ხუთწლიანი გეგმის ძირითად ამოცანათა შესახებ, რომლის განხორციელებასაც ხელი უნდა შეუწყოს ახალმა სესხმა. ბროშურაში მოყვანილია აგრეთვე ახალი სესხის პირობები.

მეორე ბროშურა წარმოადგენს სახელმძღვანელოს მუშათა, მოსამსახურეთა და გლეხთა შორის სესხის გავრცელების ხელშემწყობი კომისიებისა და სასოფლო საბჭოების რწმუნებულებისათვის. ხელშემწყობი კომისიებისა და რწმუნებულების დასახმარებლად გამოცემულია აგრეთვე ინსტრუქციები ახალი სესხის პირობებისა და გავრცელების წესის შესახებ.

პლაკატები შესრულებულია მხატვრების გოლოვანოვის, კოკორევის, ვოლოშინისა და მუხინის მიერ. (საკდესი.)

სადილი კავამ-ეს სალტანეს პატივსაცემად საბჭოთა კავშირის თეირანის საელჩოში

თეირანი, 5 მაისი. (საკდესი). როგორც თეირანის რადიო გადმოგვცემს, გუშინ სსრ კავშირის ელჩმა ირანში ამხ. სადჩიკოვმა სადილი გამართა ირანის პრემიერ-მინისტრ კავამ-ეს სალტანეს პატივსაცემად.

სადილზე იყო ირანის მთავრობის ყველა წევრი. სადილის დროს ამხ. სადჩიკოვმა და კავამ-ეს სალტანემ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

საქართველოში გავრცელებულია 533.495.000 მანეთის სესხი

6 მაისს ღამის 10 საათისათვის საქართველოს სს რესპუბლიკაში გავრცელებული იყო 533.495.000 მანეთის სესხი. ეს 20.495.000 მანეთით აღემატება გასავრცელებლად ნავარაუდევ თანხას.

მუშა-მოსამსახურეთა შორის, ნაცვლად გათვალისწინებული 238.000.000 მანეთისა, გავრცელებულია 255.998.000 მანეთის სესხი (107,6 პროცენტი).

სოფლის მოსახლეობაში გავრცელებულია 277.497.000 მანეთის სესხი, ანუ გასავრცელებლად ნავარაუდევი თანხის 100,9 პროცენტი.

ქალაქების მოსახლეობისაგან ახალი სესხის ობლიგაციების შესაძენად ნაღდად არის შემოტანილი 871.000 მანეთი. კოლმეურნეებმა ნაღდად შემოიტანეს 228.205.000 მანეთი.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში 6 მაისისათვის გავრცელებული იყო 51.420.000 მანეთის სესხი. ნაღდად შემოტანილია 28.108.000 მანეთი.

აჭარის ასს რესპუბლიკაში გავრცელებული იყო 32.702.000 მანეთის სესხი. ნაღდად შემოსულია 12.435.000 მანეთი.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში გავრცელებული იყო 14.962.000 მანეთის სესხი. ნაღდად შემოსულია 8.220.000 მანეთი.

გასავრცელებლად ნავარაუდევი თანხა უკვე შემოტანილია ნაღდ ფულად ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ახალციხის, ბაშკიჩეთის, ბორჯომის, დუშეთის, ყარაიის, ქვემო სვანეთის, ქლუხორის, ლანჩხუთის, მახარაძის, ფოთის, თბილისის, ხაშურის, ხობის, ქუთაისის, ცაგერის, წალენჯიხის, ცხაკაიას, წყალტუბოს და ჩხოროწყუს რაიონებში.

სესხზე ხელმოწერა თბილისში

6 მაისს ღამის 10 საათისათვის თბილისში ახალ სესხზე ხელმოწერამ 105.998.000 მანეთს მიაღწია. ეს გასავრცელებლად ნავარაუდევი თანხის 110,1 პროცენტს შეადგენს.

ორჯონიკიძის რაიონში გავრცელებულია 15.440.000 მანეთის სესხი, რაც ნავარაუდევი თანხის 137,8 პროცენტს უდრის.

კიროვის რაიონში სესხზე ხელმოწერამ 8.658.000 მანეთი შეადგინა (115,4 პროცენტი).

მოლოტოვის რაიონში გავრცელებულია 10.361.000 მანეთის სესხი (115,1 პროცენტი).

ბერიას რაიონში, ქალაქის სხვა რაიონებთან შედარებით, ყველაზე მეტი თანხის — 23.950.000 მანეთის სესხია გავრცელებული (ნავარაუდევი თანხის 111,3 პროცენტი).

სტალინის რაიონში გავრცელებულია 20.822.000 მანეთის სესხი (109,5 პროცენტი).

ლენინის რაიონში სესხზე ხელმოწერამ შეადგინა 13.033.000 მანეთი (108,6 პროცენტი).

26 კომისრის სახელობის რაიონში გავრცელებულია 13.734.000 მანეთის სესხი, ანუ ნავარაუდევი თანხის 85,8 პროცენტი.

შრომითი დანაზოგი—სესხად სახელმწიფოს

საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან კვლავ მოდის ცნობები ახალი სესხის უდიდესი წარმატების შესახებ. მუშები, კოლმეურნეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, ინტელიგენცია სახელმწიფოს დიდი ხალისით აძლევენ სესხად თავიანთ დანაზოგს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის. ბევრგან ახალ სესხზე ხელმოწერამ გადააჭარბა გასავრცელებლად ნავარაუდევ თანხებს.

ერთსულოვნად მიმდინარეობს ხელმოწერა ჩელიაბინსკის ოლქის საწარმოებში. **სატკინის** რაიონში მუშებისა და მოსამსახურეების ხელმოწერამ 12 მილიონ 300 ათას მანეთზე მეტი შეადგინა და ნავარაუდევ თანხას 400 ათას მანეთზე მეტით გადააჭარბა. **ზლატოუსტის** მშრომელებმა ხელი მოაწერეს 36.448 ათასი მანეთის რაოდენობით. ერთ-ერთი ადგილობრივი ქარხნის ინჟინერმა ამხ. ტროფიმოვმა, რომელსაც სამი ათასი მანეთი ხელფასი აქვს, ხელი მოაწერა 10 ათასი მანეთის რაოდენობით, ამ ქარხნის საგლინავი საამქროს უფროსმა ამხ. დემიანოვმა სახელმწიფოს სესხად მისცა 9 ნახევარი ათასი მანეთი. **მაგნიტოგორსკში** სესხზე ხელმოწერამ მიაღწია 35 მილიონ 347 ათას მანეთს.

კრასნოდარის მხარის მუშებმა და მოსამსახურეებმა უკვე მოაწერეს ხელი 134.263 ათასი მანეთის რაოდენობით. 31 მილიონ მანეთზე მეტი — თავიანთი თვიური ხელფასის 114 პროცენტი სესხად მისცეს სახელმწიფოს ქალაქ კრასნოდარის მუშებმა და ინტელიგენციამ. **ნოვოროსიისკის** მშრომელებმა ხელი მოაწერეს 8.477 ათასი მანეთის — ხელფასის ფონდის 118 პროცენტის რაოდენობით.

დიდ თანხებზე აწერენ ხელს **სტავროპოლის მხარის** მეცნიერი მუშაკები. სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორებმა პავლოვმა, ზედერმა და ვაგრილიკმა ხელი მოაწერეს 10.600 მანეთის რაოდენობით თვითეულმა. ფარმაცევტული ინსტიტუტის პროფესორმა ნეხოროშევმა ხელი მოაწერა 12 ათასი მანეთის რაოდენობით, პროფესორმა ტოკმაჩევმა — 9 ათასი მანეთის რაოდენობით.

დონის როსტოვის ბევრ საწარმოში ხელმოწერის თანხა მნიშვნელოვნად აჭარბობს ხელფასის თვიურ ფონდს. ქალაქის პროლეტარსკის რაიონში მუშებისა და მოსამსახურეების ხელმოწერის საერთო თანხამ ხელფასის ფონდის 130 პროცენტი შეადგინა, კიროვის რაიონში — 118 პროცენტზე მეტი და სხვ.

„როსტოვატროის“ მუშებისა და მოსამსახურეების ხელმოწერის თანხამ შეადგინა მათი ხელფასის ფონდის 155 პროცენტი, თევზის ქარხნისამ — 143 პროცენტი. დონის როსტოვის მუშათა და მოსამსახურეთა ხელმოწერის საერთო თანხამ 4 მაისის დღის ბოლოსათვის თითქმის 75 მილიონ მანეთს მიაღწია.

სამუშაოთა შესრულება მტს-ებში

(საქართველოს სსრ მიწათმოქმედებისა და ტექნიკური კულტურების სამინისტროების 1 მაისის ცნობებით)

მტს-ები	სამუშაოთა წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ხვნისა და ბარვის გეგმის შესრულება პროცენტობით	მტს-ები	სამუშაოთა წლიური გეგმის შესრულება პროცენტობით	ხვნისა და ბარვის გეგმის შესრულება პროცენტობით
ხაშურის	24,9	52,5	თბილისის	14,2	62,9
აგარის	32,3	91,1	თელეთის	37,5	114,9
ქარელის	25,6	92,1	მცხეთის	23,2	87,2
რუისის	25,2	63,6	ყარაიის	20,1	92,3
გორის	23,4	102,5	საგარეჯოს	22,6	86,3
აბასთუმნის	28,1	100,0	სართიჭალის	22,5	77,7
შინდისის	13,7	48,4	ბაშკიჩეთის	15,1	68,6
კასპის	32,4	83,2	ქუთაისის	89,1	102,0
წითელქალაქის	25,6	84,1	სამტრედიის	44,1	78,3
დუშეთის	23,6	64,0	ვანის	46,0	79,5
სტალინირის	10,8	42,8	ზესტაფონის	33,8	56,5
ქსუისის	20,5	56,4	გულრიფშის	45,5	112,4
ახალქალაქის	25,8	62,1	გალის	40,4	104,4
ვარხანის	16,6	45,4	ოჩამჩირის	40,3	107,6
ბოგდანოვკის	—	—	გუდაუთის	31,4	101,3
ახალციხის	21,9	69,6	თამიშის	—	—
თიანეთის	8,1	27,5	ქობულეთის	19,6	62,0
წალკის	19,8	48,9	მახარაძის	70,4	96,2
ასურეთის	30,4	81,5	ლანჩხუთის	61,0	88,9
გურჯაანის	36,7	132,9	აბაშის	44,3	94,2
კაჭრეთის	36,4	108,1	ცხაკაიას პირველი	68,4	98,8
ულიანოვკის	39,2	119,4	ცხაკაიას მეორე	—	—
წინანდლის	26,7	94,9	გეგეჭკორის	75,0	98,1
წითელწყაროს	30,1	114,8	ზუგდიდის	54,2	100,9
ალაზნის	23,8	61,9	ხობის	84,0	83,9
შირაქის	34,0	119,3	წულუკიძის	53,0	67,5
თელავის	27,0	102,1	ლაგოდეხის	29,4	88,0
ახმეტის	38,4	113,0	ბორჩალოს	27,5	111,8
ყვარლის	35,4	149,4	შულავრის	31,4	103,8
დიღმის	20,2	68,3	ბოლნისის	36,2	122,8

სესხზე ხელის მოწერა საბჭოთა პატრიოტების ღირსების საქმეა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სახელმწიფო სესხის გამოშვებისადმი მიძღვნილი მიტინგი სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მიტინგს ხსნის დოცენტი გ. ძოწენიძე.

ფოტო რ. აკოფოვისა

ახალი სესხის უდიდესი წარმატება საქართველოში

საუბარი საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრ ამხ. კ. ციმაკურიძესთან

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა ამხ. კ. ციმაკურიძემ ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

— ახალი სესხის გავრცელება მთელს რესპუბლიკაში უდიდესი წარმატებით მიმდინარეობს. ხალხთა ბელადის საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს დიდი სტალინის საპირველმაისო ბრძანებით აღფრთოვანებული საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად აწერენ ხელს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სახელმწიფო სესხზე.

რესპუბლიკაში სესხი ვრცელდება ლოზუნგით: — მივცეთ სახელმწიფოს სესხად საკუთარი დანაზოგი მეოთხე სტალინური ხუთწლედის წარმატებით შესრულებისათვის!

პირველ ორ დღეს საქართველოში ახალი სესხი გავრცელდა 527.920.000 მანეთის რაოდენობით, რაც ნავარაუდევ თანხას 14.920.000 მანეთით აღემატება.

ბევრგან ახალ სესხზე ხელს აწერენ ერთი თვის, თვენახევრისა და ხშირად ორი თვის საშუალო ხელფასის რაოდენობით. მრავალი მაგალითი გვაქვს იმისა, რომ მშრომლები დიდი თანხის სესხზე აწერენ ხელს და ფული იქვე ნაღდად შეაქვთ.

3 და 4 მაისს საქართველოს ქალაქების მოსახლეობაში სესხზე ხელმოწერამ 252.808.000 მანეთს მიაღწია.

ასევე წარმატებით ვრცელდება სესხი სოფლად. საქართველოს სოფლის მოსახლეობაში 5 მაისს საღამოსათვის ხელმოწერის თანხამ 275.112.000 მანეთი შეადგინა.

სესხი განსაკუთრებული წარმატებით ვრცელდება აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, აჭარის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში, აგრეთვე რესპუბლიკის 53 რაიონში. აფხაზეთსა და რესპუბლიკის 17 მოწინავე რაიონში — მახარაძის, ცხაკაიას, წყალტუბოს, ლანჩხუთის, ქუთაისის, ფოთის, ახალქალაქის, ასპინძის, ბორჯომის, ყარაიის, ქვემო სვანეთის, ცაგერის, ახალციხის, თბილისის, ხაშურის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს რაიონებში კოლმეურნეებმა მთლიანად ნაღდად შემოიტანეს სესხზე ხელმოწერის თანხები. 5 მაისს საღამოსათვის სესხის ობლიგაციების გამოსასყიდად შემოტანილი ნაღდი ფული უკვე აჭარბებდა 213.000.000 მანეთს.

ახალი სესხი უმაგალითო წარმატებით ვრცელდება რესპუბლიკის დედაქალაქში. 5 მაისს საღამოსათვის თბილისში ხელმოწერის თანხა 104.247.000 მანეთს აჭარბებდა.

სესხის გავრცელება გრძელდება. ხელშემწყობი კომისიების ამოცანა ის არის, რომ ყველა მშრომელს მისცეს ახალი სესხის ობლიგაციების შეძენის საშუალება, დაეხმარონ საბჭოთა ადამიანებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ სახალხო მეურნეობის სწრაფ აღდგენასა და განვითარებაში.

მოწინავეთა რიგებში

მახარაძის რაიონი

მახარაძის რაიონში 6 მაისისათვის მუშა-მოსამსახურეთა შორის გავრცელებული იყო 4.350.000 მანეთის სესხი (ნავარაუდევი თანხის 101,2 პროცენტი), ხოლო სოფლის მოსახლეობაში—8.500.000 მანეთისა (106,3 პროცენტი). ეს თანხა ნაღდად არის შემოტანილი.

ცხაკაიას რაიონი

სოფლის მოსახლეობაში გავრცელებულია 3.903.000 მანეთის სესხი (101,4 პროცენტი) და ფული ნაღდად არის შემოტანილი. მუშა-მოსამსახურეთა შორის გავრცელებულია 1.949.000 მანეთის სესხი (108,3 პროცენტი).

წყალტუბოს რაიონი

კოლმეურნეთა შორის გავრცელებული სესხის თანხამ მიაღწია 3.650.000 მანეთს (101,4 პროცენტს). ამ თანხიდან ნაღდად შეტანილია 3.630.000 მანეთი.

ლანჩხუთის რაიონი

მუშა-მოსამსახურეთა შორის გავრცელებულია 1.750.000 მანეთის სესხი, სოფლის მოსახლეობაში — 5.160.000 მანეთისა. სოფლად გავრცელებული სესხის ეს თანხა მთლიანად შეტანილია.

ქუთაისის რაიონი

სესხზე ხელმოწერის თანხამ, ნავარაუდევი 5.000.000 მანეთის ნაცვლად, 5.020.000 მანეთს მიაღწია. ფული ნაღდად არის შეტანილი.

ახალციხის რაიონი

მუშა - მოსამსახურეებს შორის 2.400.000 მანეთის ნაცვლად გავრცელებულია 2.528.000 მანეთის, ხოლო სოფლის მოსახლეობაში — 2.008.000 მანეთის სესხი. თანხა ნაღდ ფულად არის შემოტანილი.

ფოთი

ნავარაუდევი 5.000.000 მანეთის ნაცვლად ახალი სესხი მუშა-მოსამსახურეებს შორის გავრცელებულია 6.098.000 მანეთის რაოდენობით (122 პროცენტი). სოფლის მოსახლეობაში ხელმოწერამ 556.000 მანეთი შეადგინა, რაც 23,6 პროცენტით აღემატება ნავარაუდევ თანხას. ფული მთლიანად შემოტანილია ნაღდად.

ასპინძის რაიონი

სოფლის მოსახლეობაში სესხი ნაღდად გავრცელებულია 1.013.000 მანეთის რაოდენობით. ეს თანხა ნავარაუდევს 7,3 პროცენტით აღემატება.

ახალქალაქის რაიონი

სოფლის მოსახლეობაში გავრცელებულია 4.771.000 მანეთის სესხი, ნაცვლად ნავარაუდევი 4.700.000 მანეთისა. სესხზე ხელმოწერის მთელი თანხა ნაღდ ფულად არის შემოტანილი.

ბორჯომის რაიონი

კოლმეურნეებმა ხელი მოაწერეს 1.661.000 მანეთის სესხზე და ფული ნაღდად შემოიტანეს. რაიონის მუშებსა და მოსამსახურეებს შორის გავრცელებულია 3.510.000 მანეთის სესხი.

ყარაიის რაიონი

სოფლებში გასავრცელებლად ნავარაუდევი იყო 1.670.000 მანეთის სესხი. უკვე გავრცელებულია 1.737.000 მანეთისა. მთელი ეს თანხა ნაღდ ფულად არის შემოტანილი.

ქვემო-სვანეთი

სოფლის მოსახლეობაში გავრცელებულია 770.000 მანეთის სესხი, ნაცვლად ნავარაუდევი 670.000 მანეთისა. ხელმოწერის მთელი თანხა ნაღდ ფულად არის შემოტანილი.

თბილისის რაიონი

სოფლებში გავრცელებული სესხის თანხამ 3.007.000 მანეთს მიაღწია. მთელი თანხა ნაღდად არის შემოტანილი.

ხაშურის რაიონი

კოლმეურნეთა შორის ნაღდ ფულად გავრცელებულია 3.767 000 მანეთის სესხი, რაც 37.000 მანეთით აღემატება ნავარაუდევ თანხას.

რესპუბლიკის რაიონებში

(„კომუნისტის" კორესპონდენტებისაგან)

კასპი. სოფელ ბოგდანოვკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მოანგარიშემ ზ. გულიაშვილმა ნაღდად შეიძინა 10.000 მანეთის ობლიგაცია. ჯიმითის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. დარჩიაშვილმა ხელი მოაწერა 10.000 მანეთის სესხზე.

თიანეთი. ბონდაურის, ბოდახევის, გიგეთისა და ზარიძეების კოლმეურნეობებში ახალი სესხი დიდი წარმატებით ვრცელდება. ბონდაურის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ბ. არაბულმა ნაღდად შეიძინა 10 ათასი მანეთის ობლიგაციები.

რადიოს დღე

რადიოს დღე — 7 მაისი — ჩვენს ქვეყანაში დაწესებულია რუსი მეცნიერის ა. ს. პოპოვის მიერ იმ ხელსაწყოს აღმოჩენის აღსანიშნავად, რომელმაც საშუალება მოგვცა უმავთულო კავშირი დაგვემყარებინა რადიოტალღების დახმარებით და რომელიც საფუძველი გახდა რადიოს შემდგომი განვითარებისათვის. ეს ხელსაწყო პირველად იქნა დემონსტრირებული 1895 წლის 7 მაისს. კაცობრიობის ისტორიაში, ტექნიკისა და კულტურის ისტორიაში იმ დღიდან დაიწყო ახალი, შესანიშნავი თავი.

საბჭოთა კავშირში, სადაც თვალუწვდენი სივრცეებია, რადიოს ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა, როგორც კავშირგაბმულობის საუკეთესო სახეს, როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის მასების პოლიტიკური აღზრდისა და კულტურული აღმავლობის მძლავრ საშუალებას. რადიომ განსაკუთრებით დიდი განვითარება მოიპოვა ინდუსტრიალიზაციის პერიოდში, როდესაც მისთვის შეიქმნა საჭირო ტექნიკური ბაზა. სტალინური ხუთწლედების განმავლობაში აგებულ იქნა მძლავრი მაუწყებელი სადგურები და რადიოკვანძები, რომელთა დახმარებით მოსკოვის ხმა გასაგონი გახდა ჩვენი სამშობლოს ყველა კუთხეში და შორს მის ფარგლებს გარეთ. ამჟამად რადიოსადგურები არის თითქმის ყოველ ოლქში, ყოველ მხარესა და რესპუბლიკაში. მათ იყენებენ ადგილობრივ გადაცემათა მოსაწყობად. ჩვენი ქვეყნის რადიომაუწყებელი სადგურებით ყოველდღე სწარმოებს გადაცემა სსრ კავშირის ხალხთა 70-ზე მეტ ენაზე.

რადიომ უდიდესი დამრაზმველი და აღმზრდელობითი როლი შეასრულა დიდი სამამულო ომის დროს. მან ხალხში შეჰქონდა აღმაფრთოვანებელი სიტყვები დიდი სტალინისა, მისი ბრძანებანი მამაცი წითელი არმიის გამარჯვებათა შესახებ და დედაქალაქის სალუტები ამ გამარჯვებათა აღსანიშნავად. ომის დღეებში იგი იყო კავშირგაბმულობის ძირითადი საშუალება წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის. რადიოსაშუალებათა ფართოდ გამოყენებამ შესაძლებლობა მოგვცა სწრაფად გაგვეხორციელებინა სხვადასხვა გვარეობის ჯარების აუცილებელი თანამოქმედება, მუდმივი კავშირი შეგვენარჩუნებინა ფრონტსა და ზურგს შორის, ჩვენი ქვეყნის ცენტრსა და განაპირა ქვეყნებს შორის. ჩვენი სამშობლოს იმ რაიონებში, რომლებიც გერმანელების მიერ იყო ოკუპირებული, მოსკოვის ხმა საბჭოთა ადამიანებს ჰმატებდა ახალ ძალებს დამპყრობთა წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლისათვის.

ამჟამად, როდესაც საბჭოთა ხალხი შეუდგა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ომისშემდგომი აღდგენისა და შემდგომი განვითარების პერიოდში, რადიოს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამხ. ვოზნესენსკიმ თავის მოხსენებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველ სესიაზე აღნიშნა, რომ რადიო დღემდე ახდენს გადატრიალებას მეცნიერებაში და, კერძოდ, უახლესი რადიოლოკაციური ტექნიკის საფუძველს წარმოადგენს.

კანონი ახალი ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს ჩვენს ქვეყანაში რადიომაუწყებლობის ფართოდ განვითარებას და ამ მიმართულებით მთელ რიგ ღონისძიებებს სახავს. ჯერ კიდევ ომიანობის წლებში დაიწყო მუშაობა მაუწყებლობის საშუალებათა აღსადგენად იმ ტერიტორიაზე, რომელმაც გერმანელთა ოკუპაცია განიცადა. ამასთან გვიხდებოდა ხელახლად აგვეგო რადიოსადგურები და რადიოკვანძები, უფრო სრულყოფილი ტექნიკით აღგვეჭურვა ისინი. მაგალითად, კიევში აღდგენილია მძლავრი გრძელტალღიანი სადგური, რომელიც მუშაობს 1.210 მეტრ ტალღაზე, და იმავე დროს აგებულია მოკლეტალღიანი სადგური, რომელიც საშუალებას იძლევა მოვისმინოთ გადაცემანი კიევიდან არა მარტო საბჭოთა კავშირის ფარგლებში, არამედ მისი საზღვრების გარეთაც. მძლავრი სადგურები აღდგენილია აგრეთვე მინსკში, ვილნიუსსა და რიგაში. გარდა ამისა, ლატვიის დედაქალაქში მთავრდება ახალი მძლავრი სადგურის აგება. მწყობრში ჩადგნენ სტალინოს, დნეპროპეტროვსკის, ოდესისა და სხვა ქალაქების სადგურები. განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩატარდა რადიოკვანძებისა და სატრანსლაციო ქსელის აღდგენის საქმეში. აღდგენილია 1.600-ზე მეტი კვანძი, რომლებიც მომსახურებას უწევენ ერთ მილიონზე მეტ რადიოწერტილს. ბევრ შემთხვევაში რადიოსადგურები და რადიოკვანძები უფრო მძლავრი და ტექნიკურად უკეთ აღჭურვილნი გახდნენ, ვიდრე ომამდე.

ახალ ხუთწლედში დასახულია არა მარტო ძველი რადიომაუწყებელი სადგურების აღდგენა, არამედ ახალი მძლავრი რადიოსადგურების მშენებლობაც, რომლებიც საშუალო ტალღებზე იმუშავებენ. გათვალისწინებულია აგრეთვე მოკლე ტალღებზე მაუწყებლობის მნიშვნელოვანი გაფართოება. საბჭოთა კავშირის სატრანსლაციო ქსელი 5 წლის განმავლობაში, 1940 წელთან შედარებით, 75 პროცენტით გაფართოვდება. ეს გამოიწვევს რადიოწერტების რაოდენობის გადიდებას ხამი მილიონით და მეტით. მნიშვნელოვნად გადიდდება რადიომიმღებთა წარმოება. 1950 წელს მათ გამოუშვებენ 925 ათასი ცალის რაოდენობით, ხოლო სულ ხუთწლედში განზრახულია საავტო ქსელს მოსახლეობისათვის მისასყიდად გადაეცეს სამ მილიონზე მეტი რადიომიმღები.

დიდ გავრცელებას ჰპოვებს აგრეთვე ტელევიზია. აღდგენილ და ტექნიკურად რეკონსტრუირებულ იქნება მოსკოვის სატელევიზიო ცენტრი, რომელმაც ამჟამად უკვე განაახლა თავისი გადაცემანი. ამავე დროს ხორციელდება ღონისძიებანი, რათა მთელი მისი აპარატურა გადაყვანილ იქნას 625 სტრიქონის გამოსახატავად, ახლანდელი 343 სტრიქონის ნაცვლად, რაც შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავადიდოთ გამოსახულებათა ქაფიობა. მოსკოვს გარდა, სატელევიზიო ცენტრები შეიქმნება ლენინგრადში, კიევსა და სვერდლოვსკში. ამრიგად, ხუთწლედის ბოლოსათვის ტელევიზია გადაიქცევა ბგერასაცქერო რადიომაუწყებლობის მასობრივ საშუალებად.

რადიოს უკავია და შემდგომშიც ეკავება მნიშვნელოვანი ადგილი აგრეთვე საბჭოთა კავშირის ელექტროკავშირგაბმულობის საერთო სისტემაში. იგი არის მოსკოვთან და საოლქო ცენტრებთან ჩვენი ქვეყნის ბევრი შორეული პუნქტის დაკავშირების ძირითადი საშუალება. ეს განსაკუთრებული სიცხადით გამოჩნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების არჩევნების დროს ხმის მიცემის შედეგთა შეჯამებისას. ცნობების გადაცემაში მონაწილეობას იღებდა სამი ათასზე მეტი რადიოსადგური. მათი დახმარებით მეტად მოკლე ვადებში მოხერხდა მთლიანად და ყველა საარჩევნო უბანში შეგვეგროვებინა საჭირო ცნობები.

სავსებით გასაგებია, რომ ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებული სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობა მოითხოვს რადიოკავშირის საშუალებათა უფრო მეტ განვითარებას. კერძოდ, დასახულია შორეული კავშირის გასაძლიერებლად დაიდგას 55 ახალი რადიომიმღები. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ასოთამბეჭდავი რადიო-სატელეგრაფო აპარატების დანერგვას, რომლებიც კონსტრუირებულია ინჟინრების იგნატიევის, კოზლოვისა და გერონის, ამჟამად სტალინური პრემიის ლაურეატების მიერ. შეიქმნება აგრეთვე მცირე სიმძლავრის ათასობით რადიოსადგური სოფლის მეურნეობაში, გეოლოგიურ ძიებათა ჩატარების დროს გამოსაყენებლად და სხვ.

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ რადიოტექნიკის ყოველმხრივ განვითარებას. ყოველწლიურად რადიოს დღის დაწესება ხელს შეუწყობს საბჭოთა რადიოს შემდგომ პროგრესს. მთავრობის მიერ ახლა დაწესებულია „ა. ს. პოპოვის სახელობის ოქროს მედალი", რომელიც ყოველწლიურად რადიოს დღეს მიეკუთვნება მეცნიერებს რადიოტექნიკის დარგში ყველაზე უფრო თვალსაჩინო მიღწევებისათვის. დაწესებულია აგრეთვე სპეციალური ნიშანი „საპატიო რადისტი" იმ პირების დასაჯილდოებლად, რომლებიც თავიანთი მიღწევებით მეცნიერების, ტექნიკის, რადიოს საშუალებათა წარმოებისა და ექსპლოატაციის, აგრეთვე რადიომაუწყებლობის მოწყობის დარგში ხელს უწყობენ რადიოს განვითარებას.

ამხანაგმა სტალინმა საბჭოთა მეცნიერებს დაუსახა ამოცანა უახლოეს დროში გადააჭარბონ მეცნიერების მიღწევებს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. ეს ამოცანა წარმატებით უნდა შესრულდეს რადიოტექნიკის დარგშიც.

ა. ფორტუშენკო
სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრის მოადგილე

ჩვენი ამოცანები

ჩვენი ქვეყნის მშრომლები წელს პირველად აღნიშნავენ „უმავთულო და უმანძილო გაზეთის"—რადიოს დღეს. საბჭოთა მთავრობამ დიდი რუსი მეცნიერის ა. ს. პოპოვის მიერ რადიოს გამოგონების 50 წლისთავთან დაკავშირებით 7 მაისი „რადიოს დღედ" დააწესა.

საბჭოთა კავშირი რადიოს სამშობლოა. პირველი რადიომიმღები გამოიგონა, დაამზადა და მისი დემონსტრაცია ჯერ კიდევ 1895 წლის 7 მაისს მოახდინა დიდმა რუსმა მეცნიერმა ალექსანდრე სტეფანეს-ძე პოპოვმა.

რამდენიმე წლის შემდეგ იურიევის (დერპტის) უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სტუდენტმა გრიგოლ ბეჟანის-ძე ნახუცრიშვილმა სრულიად დამოუკიდებლად დაამზადა უმავთულო ტელეგრაფის აპარატი, რომელიც მან იურიევის უნივერსიტეტის პროფესორ სადოვსკის უჩვენა. პროფესორის რჩევით ნახუცრიშვილი პეტერბურგში წავიდა, პოპოვს შეხვდა და გაიგო, რომ რადიოტელეგრაფი უკვე აღმოჩენილი იყო.

გრიგოლ ნახუცრიშვილი 1905 წელს გარდაიცვალა იურიევში. მის მიერ დამზადებული აპარატი აღწერილობასთან ერთად მეგობრებმა საქართველოში გადმოგზავნეს. ამ აპარატის ნაწილი ამჟამად თელავის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირველი დღეებიდანვე რადიო—კავშირგაბმულობის, ინფორმაციისა და აგიტაციის ეს საუკეთესო საშუალება მშრომელთა ინტერესებს დაექვემდებარა. ლენინი და სტალინი იყვნენ ხალხისადმი მიმართული, საბჭოთა რადიოსადგურების მიერ გადაცემული პირველი ისტორიული რადიოგრამების ავტორები და რედაქტორები.

ლენინი ფართოდ იყენებდა რადიოს, მისი საშუალებით უშუალოდ მიმართავდა მასებს, ზრუნავდა რადიოს სრულქმნისა და განვითარებისათვის.

1920 წლის 5 თებერვალს ვ. ი. ლენინმა ნიჟნი ნოვგოროდის რადიოლაბორატორიის ტექნიკურ ხელმძღვანელს პროფესორ მ. ბონჩ-ბრუევიჩს მისწერა წერილი, რომელშიც ნათქვამია: „უქაღალდო და უმანძილო გაზეთი", რომელსაც თქვენ ჰქმნით, დიდი საქმე იქნება. აღგითქვამთ ყოველგვარ და ყოველმხრივ დახმარებას ამ და მსგავს მუშაობაში". ამავე წლის დასაწყისში ლენინის მითითებით დამუშავდა რადიომშენებლობის დიდი პროგრამა, რომლის განხორციელებასაც ლენინი უშუალოდ ადევნებდა თვალყურს. ერთი წლის შემდეგ ლენინი კმაყოფილებით აღნიშნავდა, „მთელი რუსეთი მოისმენს მოსკოვში წაკითხულ გაზეთსო".

ლენინმა გენიოსურად განსაზღვრა რადიოტელესკოპიის დარგში ჩატარებული პირველი ცდების უდიდესი მნიშვნელობა. 25 წლის წინათ ლენინი შესაძლებლად სთვლიდა იმის მიღწევას, რაც ახლა პრაქტიკულად ხორციელდება რადიოტელევიზაციისა და რადიოლოკაციის სახით.

ამხანაგ სტალინს არაერთხელ აღუნიშნავს რადიოს უაღრესად დიდი მნიშვნელობა. საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობაზე ამხანაგმა სტალინმა დაახასიათა რადიოსა და კინოს უდიდესი როლი მასების კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მძლავრი რადიომრეწველობა და რადიოქსელი. დიდი სტალინის მზრუნველობით რადიო ნამდვილად „მილიონთა მიტინგი", უქაღალდო და „უმანძილო" გაზეთი გახდა.

სამამულო ომის წლებში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოვლინდა რადიოს დიდი როლი.

ომის მრისხანე ვითარებაში 1941 წლის 3 ივლისს ამხანაგმა სტალინმა რადიოთი მიმართა საბჭოთა ხალხს.

მთელი მსოფლიო რადიოთი ისმენდა ამხანაგ სტალინის ისტორიულ მოხსენებებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წლისთავის დღეებში, მიმართვებს ხალხისადმი 1945 წლის 9 მაისსა და 2 სექტემბერს, უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს სტალინის ბრძანებებსა და მოსკოვის სალუტებს ჩვენი სამშობლოს მტრებზე გამარჯვების აღსანიშნავად.

რადიო ფართოდ იყო გამოყენებული სამამულო ომის ფრონტზე. სახელოვანი პარტიზანები სისტემატურად უსმენდნენ ჩვენს რადიოგადაცემებს. რადიო გამოყენებული იყო შორ მანძილზე—ხმელეთზე, ჰაერში თუ ზღვაში მყოფი მტრის აღმოსაჩენად.

განუზომელია რადიოს მნიშვნელობა ავტომატიკაში — შორ მანძილზე მექანიზმების სამართავად, მედიცინასა და მეტალურგიაში.

სტალინური ხუთწლედების განმავლობაში საბჭოთა კავშირი მოიფინა მიმღები და გადამცემი რადიოსადგურების მძლავრი ქსელით; გაიზარდა რადიომაუწყებლობის მოცულობა, გაუმჯობესდა მისი ხარისხი, განვითარდა მისი ძირითადი სახეები და ფორმები. ცენტრალურ მაუწყებლობასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ადგილობრივ (რაიონულ, საქალაქო, საფაბრიკო-საქარხნო) მაუწყებლობას.

დიდი სამამულო ომის დაწყებისას საბჭოთა რადიოგადაცემები სწარმოებდა ასზე მეტი რადიოსადგურის საშუალებით. ცენტრალური და ადგილობრივი მაუწყებლობა საშუალოდ 500-მდე საათს აღწევდა. გარდა ამისა, რადიოკვანძებთან არსებულ ორი ათასამდე რედაქციას საკუთარი გადაცემები ჰქონდა ყოველდღიურად საშუალოდ 700 საათის განმავლობაში.

მტრის მიერ ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი ოლქების ოკუპაციის შედეგად რამდენადმე შემცირდა რადიოგადაცემებისა და რადიოქსელის მოცულობა. 1944 წელს საბჭოთა რადიოქსელმა და რადიომაუწყებლობამ ომამდელ დონეს მიაღწია, ხოლო ომის დასასრულს კიდევაც გადააჭარბა მას.

1946 წლის 1 იანვრისათვის ჩვენს ქვეყანაში ითვლებოდა თითქმის 6.200 ათასი რადიოწერტი, მათ შორის 500 ათასზე მეტი რადიომიმღები; რადიოგადაცემების საშუალო სადღეღამისო მოცულობა 1.750 ათასს აღემატებოდა.

საქართველოში რადიოტექნიკასა და რადიომაუწყებლობას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ ჩაუყარა საფუძველი. 1924 წლიდან რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა რადიოკვანძებისა და რადიოსატრანსლაციო წერტების ქსელი. ამჟამად ჩვენ გვაქვს 81 რადიოკვანძი და 60 ათასზე მეტი რადიოსატრანსლაციო წერტი; სოფლად რადიოფიცირებულია 370-მდე სასოფლო საბჭო, სამასამდე კოლმეურნეობა, 21 საბჭოთა მეურნეობა, 31 მტს-ი.

სამამულო ომის წლებში საქართველოს რადიოკომიტეტის წინაშე სერიოზული და პასუხსაგები ამოცანები ლადგა. მაგრამ პირველ ხანებში მის მუშაობას მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი ახასიათებდა. 1942 წლის მაისიდან საქართველოს ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით შევძელით ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა. „უკანასკნელ ცნობათა" გადაცემაში მივაღწიეთ მეტ ოპერატიულობას, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ მოსკოვის მიერ რუსულად გადმოცემულ მნიშვნელოვან ამბებს, უმაღლესი მთავარსარდლის ამხანაგ სტალინის ბრძანებებს, საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს 10-20 წუთის შემდეგ ქართულად ვაწვდიდით მსმენელებს.

გარდა ამისა, „უკანასკნელი ცნობების" გადაცემა დილით ხდება მოსკოვის რადიოგადმოცემის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე. ამით ჩვენს მუშა - მოსამსახურეებს საშუალება აქვთ სამუშაოდ წასვლის წინ მოისმინონ უკანასკნელ ცნობებს, ხოლო აგიტატორებს — მოემზადონ საწარმოებში მორიგი საუბრებისათვის.

პოლიტიკურ გადაცემათა ოპერატიულობის მხრივ ჩვენი გამოცდილება არაერთხელ აღუნიშნავს საკავშირო რადიოკომიტეტს და მოძმე რესპუბლიკების რადიოკომიტეტებისათვის ურჩევია მისი გამოყენება.

პოლიტიკურ გადაცემათა რედაქციამ მუშაობა გააუმჯობესა, მოაწყო ახალი ციკლები—„საბჭოთა კავშირის გმირული წარსული", „ჩვენი სახელოვანი წინაპრები", „საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ტრიბუნა", „მომჭირნეობა ყველაფერში ომის დროის კანონია", „საყოველთაო-სახალხო ყურადღება და მზრუნველობა ფრონტელთა ოჯახებს".

ყოველდღიურად ეწყობა გადაცემა სოფლის მეურნეობის, სამეცნიერო-პოპულარულ, საერთაშორისო და შიმდინარე პოლიტიკის, სოციალისტური წარმოების ეკონომიკისა და დაგეგმვის საკითხებზე. მიკროფონთან გამოდიან ცნობილი მეცნიერები, აკადემიკოსები, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სტახანოველები. სტუდიის ხშირი სტუმრები არიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ნ. კეცხოველი, პროფესორები ვ. გულისაშვილი, ნ. ყიფშიძე, აგლაძე და სხვები, მწერლები და პოეტები ლეო ქიაჩელი, გ. ლეონიძე, შ. დადიანი, ა. მაშაშვილი, ს. ჩიქოვანი, კ. კალაძე, ი. მოსაშვილი და სხვები.

ლიტერატურულმა რედაქციამ განაახლა და გააფართოვა გადაცემათა ციკლი „თეატრი მიკროფონთან". მასში მონაწილეობას იღებენ რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის თეატრები. ასევე ნაყოფიერად მუშაობს საბავშვო გადაცემათა რედაქცია.

გაუმჯობესდა მუსიკალური გადაცემების რედაქციის მუშაობა. გაფართოვდა სიმფონიური ორკესტრისა და საგუნდო კაპელის შემადგენლობა. ჩამოვაყალიბეთ ქართული ხალხური სიმღერების გუნდი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ა. მეგრელიძის ხელმძღვანელობით.

ჩვენი მიზანია რადიომსმენელებს გავაცნოთ ქართული მუსიკალური კულტურის საუკეთესო ნიმუშები, მუსიკალურ - ვოკალური ხელოვნების თვალსაჩინო ნაწარმოებნი. ამ მხრივ მიღწევები გვაქვს, მაგრამ მომავალში მეტი მუშაობა გვმართებს.

საქართველოს რადიოკომიტეტის მუშაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა რაიონების ადგილობრივი რადიოგადაცემა. სამამულო ომის დაწყებამდე საქართველოს მხოლოდ 33 რაიონში ეწყობოდა ადგილობრივი რადიოგადაცემები, ამჟამად კი ეწყობა 62 რაიონში.

სამამულო ომის წლებში დიდი გამოცდილება შევიძინეთ. ეს გამოცდილება მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ამხანაგ სტალინის ისტორიული წინასაარჩევნო სიტყვით და მეოთხე სტალინური ხუთწლედით დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის.

რადიო პოლიტიკური, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების განუყრელი ნაწილი გახდა. მაგრამ ჩვენს მუშაობაში ჯერ კიდევ არის მთელი რიგი ნაკლოვანებები. ბოლო უნდა მოვუღოთ მაუწყებლობის ფორმათა ერთფეროვნებას და ზოგიერთი გადაცემის სიმკრთალეს. ვიმუშაოთ უფრო ნაყოფიერად, უფრო ცოცხლად, მრავალფეროვნად მივიტანოთ მსმენელთან „უქაღალდო და უმანძილო გაზეთი", მის გამზადებაში ჩავაბათ მსმენელთა ფართო აქტივი.

ჩვენი ტექნიკური აღჭურვილობა ახლა თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა. ეს მნიშვნელოვნად შეგვიწყობს ხელს, საშუალებას მოგვცემს ჩავწეროთ ქართული მუსიკალური კულტურის საუკეთესო ნიმუშები.

ჩვენი რადიოკომიტეტის მუშაკთა კოლექტივი საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობით მომავალშიც წარმატებით შეასრულებს მის წინაშე დაყენებულ პასუხსაგებ ამოცანებს.

ლეო ესაკია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიოკომიტეტის თავმჯდომარე.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

სახელმწიფო კონტროლის სამინისტრომ მოახდინა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის განკუთვნილი საწვავის აღრიცხვის, შენახვისა და ხარჯვის რევიზია როსტოვის, ტამბოვის, პენზის, მოსკოვის, გორკის ოლქების, კრასნოდარის მხარის, მოლდავეთის, უკრაინის, ყაზახეთის, თურქმენეთისა და უზბეკეთის სს რესპუბლიკების მტს-ებში.

რევიზიამ გამოარკვია, რომ საოლქო სამიწათმოქმედო განყოფილებებისა და მტს-ების ზოგიერთი ხელმძღვანელი არ ასრულებს მთავრობის 1942 წლის 20 ივნისის დადგენილებას „მტს-ბსა და საბჭოთა მეურნეობებში საწვავის მომჭირნეობისა და მისი განიავების ლიკვიდაციის შესახებ", და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის გაცემული ნავთპროდუქტები იხარჯება არაპირდაპირი დანიშნულებით, მათ ანიავებენ და იტაცებენ.

I.

ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘᲡ საოლქო სამიწათმოქმედო განყოფილების უფროსი ვ. ტ. ჩუმაკოვი იძლეოდა უკანონო განკარგულებებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის განკუთვნილი ფონდებიდან სხვადასხვა ორგანიზაციებისათვის საწვავის მიცემის შესახებ.

1945 წელს და 1946 წლის 1-ლ კვარტალში საოლქო სამიწათმოქმედო განყოფილების უკანონო განკარგულებებით განიავებულ იქნა სხვებზე გაცემით 15.803 კილოგრამი საწვავი, აქედან ჩუმაკოვის პირადი მითითებებით —14.078 კილოგრამი.

ამავე პერიოდში ჩუმაკოვის წაყრუებით მტს-ების ფონდებიდან საოლქო სამიწათმოქმედო განყოფილებამ დახარჯა 11.480 კილოგრამი ბენზინი გარეშე ორგანიზაციებისა და კერძო პირების ტვირთების გადასატანად.

როსტოვის საოლქო სამიწათმოქმედო განყოფილების უფროსმა დაარღვია აგრეთვე სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1942 წლის 1 ოქტომბრის დადგენილება „მსუბუქი ავტოტრანსპორტის მიერ საავტომობილო ბენზინის ხარჯვის შემცირების შესახებ" და თვითნებურად გაადიდა საწვავის ლიმიტები საოლქო სამიწათმოქმედო განყოფილების მსუბუქი მანქანებისათვის, საამისოდ 1945 წელს და 1946 წლის 1-ლ კვარტალში სოფლის მეურნეობის ფონდებიდან ამოიღო 31.100 კილოგრამი ბენზინი.

როსტოვის ოლქის მტს-ბში 1945 წელს გადახარჯულია 2.424 ათასი მანეთის ნავთპროდუქტები.

საწვავის დანაკლისმა და დატაცებამ 59 მტს-ში (ოლქის 154 მტს-იდან) 175 ტონა შეადგინა. გარდა ამისა, ოლქის მტს-ებმა გარეშე ორგანიზაციების სამუშაოზე დახარჯეს და სხვადასხვა დაწესებულებებსა და პირებს მისცეს 247,4 ტონა საწვავი.

როსტოვის ოლქში შემოწმებული მტს-ების ხელმძღვანელები უტიფრად ატყუებდნენ სახელმწიფოს, მალავდნენ საწვავის დანაკლისს, დატაცებასა და განიავებას.

პუგაჩოვის მტს-ის სატრაქტორო ბრიგადებში გამოაშკარავებულ იქნა 35,7 ტონა ნავთპროდუქტების დანაკლისი. მტს-ის დირექტორმა ფ. ფ. კალინინმა და მთავარმა ბუღალტერმა ს. ვ. აკულოვმა, იმის ნაცვლად, რომ გამოერკვიათ დანაკლისის დამნაშავენი და პასუხისგებაში მიეცათ ისინი, ეს დანაკლისი დამალეს 1946 წლის 1 იანვრისათვის ნავთპროდუქტების ნაშთების შესახებ ყალბი ანგარიშის შედგენის გზით. გარდა ამისა, ფ. ფ. კალინინმა და ს. ვ. აკულოვმა 1945 წელს და 1946 წლის 1-ლ კვარტალში სხვადასხვა გარეშე ორგანიზაციებსა და კერძო პირებს მისცეს 1.595 კილოგრამი საწვავი და მტს-ების ავტოტრანსპორტის მუშაობაზე ფიქტიური დოკუმენტებით ჩამოსწერეს 1.010 კილოგრამი საწვავი.

სალსკის მტს-ის უფროსი აგრონომი მ. ფ. შრამკო ხელოვნურად ადიდებდა სატრაქტორო სამუშაოთა გეგმის შესრულებისა და საწვავის ხარჯვის მაჩვენებლებს. კოლმეურნეობებისათვის შესრულებულ სამუშაოთა აქტებში ძველნახნავი მიწების მოხვნას შრამკო აჩვენებდა, როგორც ნასვენის დამუშავებას, რისთვისაც დაწესებულია საწვავის ხარჯვის უფრო მაღალი ნორმები. მარტო კოლმეურნეობა „ნოვაია ნივაში", „ვოლნა რევოლუციაში" და „სელმაშტროიში" მოხნული ნასვენის ფართობი გადიდებულ იქნა 2.199 ჰექტარით. ამის შედეგად მტს-მა ზედმეტად ჩამოსწერა 6.503 კილოგრამი საწვავი.

როსტოვის ოლქის აქსაის მტს-ის დირექტორმა ს. ნ. გრამოტეევმა 1945 წლის წლიურ ანგარიშში მიაწერა 2.947 ჰექტარი მოხნული ნასვენი, ამით გააზვიადა სატრაქტორო სამუშაოთა გეგმის შესრულება და გაადიდა ნავთპროდუქტების ხარჯი.

რევიზიის შედეგებთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის მინისტრმა სასტიკი საყვედური გამოუცხადა როსტოვის საოლქო სამიწათმოქმედო განყოფილების უფროსს ვ. ტ. ჩუმაკოვს და სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის გამო მას გადასახდელად დააწერა 3.200 მანეთი.

პუგაჩოვის მტს-ის დირექტორს ფ. ფ. კალინინს, აქსაის მტს-ის დირექტორს ს. ნ. გრამოტეევს და სალსკის მტს-ის უფროს აგრონომს მ. ფ. შრამკოს სასტიკი საყვედური გამოეცხადათ.

პუგაჩოვის მტს-ის მთავარი ბუღალტერი ს. ვ. აკულოვი ნავთპროდუქტების განიავებისა და დანაკლისის დაფარვის მიზნით ყალბი საბუღალტრო აღრიცხვის შედგენისათვის მოხსნილია თანამდებობიდან.

II.

ᲞᲔᲜᲖᲘᲡ საოლქო სამიწათმოქმედო განყოფილებამ დაუშვა მტს-ებში ნავთპროდუქტების უყაირათო ხარჯვა. 1945 წელს ოლქის მტს-ებმა გადახარჯეს 2.795 ტონა საწვავი. რევიზიამ გამოარკვია, რომ ცალკეული მტს-ების ხელმძღვანელები მალავდნენ ნავთპროდუქტების გადახარჯვას და თავიანთ ანგარიშებში აჩვენებდნენ ისეთ სატრაქტორო სამუშაოებს, რომლებიც ფაქტიურად არ შესრულებულა.

კოლიშლეის მტს-ის დირექტორმა ს. მ. ერშოვმა და მთავარმა ბუღალტერმა ე. ე. ნაზაროვმა 1945 წლის ანგარიშში გააზვიადეს კოლმეურნეობებში დამოუკიდებელი ფარცხვის მოცულობა 10.874 ჰექტარით და ამრიგად დამალეს 13,7 ტონა ნავთპროდუქტების გადახარჯვა. იმავე მიზნით ერშოვმა და ნაზაროვმა ანგარიშში არ მოიხსენიეს 22,2 ტონა ნავთპროდუქტები.

გარდა ამისა, კოლიშლეის მტს-ის დირექტორმა ერშოვმა 1945 წელს უკანონოდ მიჰყიდა გარეშე ორგანიზაციებს 1.240 კილოგრამი საწვავი.

იმავე ოლქის ლუნინსკის მტს-ის დირექტორმა პ. ი. კურშევმა ხელი მოაწერა და საოლქო სამიწათმოქმედო განყოფილებაში წარადგინა წლიური ანგარიში, რომელშიც დამალული იყო 10,2 ტონა საწვავის გადახარჯვა. ეს იმ გზით გააკეთა, რომ საწვავის ხარჯი მიაწერა სატრაქტორო სამუშაოებს, რომლებიც მტს-ებს არ შეუსრულებიათ, აგრეთვე გააზვიადა ტრაქტორების რემონტის, ტექნიკური მოვლის, გამართვისა და გადაყვანისათვის საწვავის ხარჯვის საგეგმო ნორმები.

წლიურ ანგარიშში ნაჩვენებია, რომ მტს-მა კოლმეურნეობებისათვის შეასრულა 4.000 ჰექტარის დამოუკიდებელი ფარცხვა, რისთვისაც ჩამოწერილ იქნა 7,3 ტონა საწვავი. ფაქტიურად კი ეს სამუშაოები მტს-ს არ შეუსრულებია. ლუნინსკის მტს-ის დირექტორი კურშევი უშვებდა აგრეთვე გარეშე ორგანიზაციებისათვის საწვავის უკანონოდ მიცემას.

„გლავნეფტესნაბის" პენზის ოლქის კოლიშლეის ბაზის დირექტორი პ. პ. მარკოვი უკანონოდ ხარჯავდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის განკუთვნილ საწვავს. 1945 წელს და 1946 წლის 1-ლ კვარტალში მარკოვმა მტს-ს ფონდებიდან სხვადასხვა ორგანიზაციებსა და პირებს მიჰყიდა 2.050 კილოგრამი ნავთპროდუქტები და ეს პროდუქტები დააკლო მტს-ებს.

რევიზიით გამოვლინებულ ფაქტებთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის მინისტრმა დისციპლინარული სასჯელი დაადო პენზის საოლქო მიწგანის უფროსს გრუშენკოვს, თანამდებობიდან გადააყენა „გლავნეფტესნაბის" კოლიშლეის ბაზის დირექტორი პ. პ. მარკოვი და კოლიშლეის მტს-ის მთავარი ბუღალტერი ე. ე. ნაზაროვი.

სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის გამო, რაც გამოიხატა წლიურ ანგარიშში იმ სატრაქტორო სამუშაოებისათვის საწვავის ჩამოწერით, რომლებიც მტს-ს არ შეუსრულებია, ე. ე. ნაზაროვს გადასახდელად დაეწერა 2.250 მანეთი.

კოლიშლეის მტს-ის დირექტორ ერშოვს გამოეცხადა სასტიკი საყვედური და სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის გამო მას გადასახდელად დაეწერა 2.700 მანეთი. ლუნინსკის მტს-ის დირექტორ კურშევს გამოეცხადა საყვედური.

III.

ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲘᲡ მხარის მტს-ებმა 1945 წელს ძირითად სამუშაოებზე გადახარჯეს 4.758 ტონა ნავთპროდუქტები.

საწვავისა და საცხები მასალის დიდი გადახარჯვის ძირითადი მიზეზია სატრაქტორო პარკის ცუდი გამოყენება, ტრაქტორებისა და მისაბმელი ინვენტარის ტექნიკური მოვლის წესების შეუსრულებლობა.

ნავთპროდუქტების მნიშვნელოვანი დანაკარგი გამოწვეულია აგრეთვე მტს-ების საწყობებში და სატრაქტორო ბრიგადებში მათი უყაირათო შენახვით.

მხარის ბევრ მტს-ში ნავთმეურნეობა უყურადღებოდ არის მიტოვებული. 59 მტს-ში (მხარის 165 მტს-დან) ნავთპროდუქტების დანაკლისმა და დატაცებამ 1945 წელს 494,6 ტონა შეადგინა. გარდა ამისა, მხარის მტს-ებმა გარეშე ორგანიზაციების სამუშაოებზე უკანონოდ დახარჯეს 160 ტონა საწვავი და საცხები მასალა.

საწვავი განსაკუთრებით მფლანგველურად იხარჯება ვასიურინის მტს-ში. ნავთპროდუქტების გადახარჯვამ ამ მტს-ში 1945 წელს 45,2 ტონა შეადგინა. 1946 წლის პირველ კვარტალში მტს-ში დაწესებული ნორმების გადამეტებით კვლავ დახარჯულია '5,7 ტონა საწვავი.

ვასიურინის მტს-ის დირექტორმა დ. ე. ვოსტრიკოვმა 1945 წელს და 1946 წლის 1-ლ კვარტალში გარეშე ორგანიზაციებს უკანონოდ მისცა 3.396 კილოგრამი საწვავი. ნავთპროდუქტები უფასოდ ეძლეოდათ სხვადასხვა ორგანიზაციებს, მათ შორის დამზადებათა სამინისტროს რაიონულ რწმუნებულს, წისქვილს, სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებას, კრასნოდარის სამხარეო მიწგანს, ლიქიორარყის ქარხანას, რკინიგზის მუშათა მომარაგების განყოფილებას, კრასნოდარის ლითონის ნაწარმისა და საინსტრუმენტო ქარხანას და სხვ.

გარდა ამისა, 1945 წელს მტს-ში გასამართლებელი საბუთებით უქონლად ავტოტრანსპორტის მუშაობაზე ჩამოწერილ იქნა 10.908 კილოგრამი საწვავი. მათ შორის მტს-ის უფროსი მექანიკოსის ა. ნ. ბუზინოვის მიერ შედგენილი ფიქტიური დოკუმენტების საფუძველზე—707 კილოგრამი ბენზინი და 101 კილოგრამი სოლიდოლი; 1946 წლის პირველ კვარტალში, ავტომანქანების გარბენის კილომეტრაჟის ხელოვნურად გადიდების გზით, უკანონოდ ჩამოწერილია 1.114 კილოგრამი ბენზინი.

რევიზიის მასალების საფუძველზე სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის მინისტრმა სასტიკი საყვედური გამოუცხადა ვასიურინის მტს-ის დირექტორს დ. ე. ვოსტრიკოვს და ამ მტს-ის უფროს მექანიკოსს ა. ნ. ბუზინოვს.

სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის გამო, რაც გამოიხატა გარეშე ორგანიზაციებისათვის საწვავის უკანონოდ და უფასოდ მიცემით, ვასიურინის მტს-ის დირექტორ დ. ე. ვოსტრიკოვს გადასახდელად დაეწერა 2.000 მანეთი.

ვასიურინის მტს-ის უფროს მექანიკოსს ა. ნ. ბუზინოვს სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის გამო, რაც გამოიხატა იმ სამუშაოებზე საწვავისა და საცხების მასალის ჩამოწერით, რომლებიც ფაქტიურად არ შესრულებულა, გადასახდელად დაეწერა 1.500 მანეთი.

კრასნოდარის სამხარეო მიწგანის უფროსს ა. ა. ფედინს მიეცა კონკრეტული მითითებანი მტს-ების ნავთმეურნეობაში წესრიგის დასამყარებლად და საწვავის უყაირათო ხარჯვისა და განიავების აღმოსაფხვრელად.

IV.

ᲢᲐᲛᲑᲝᲕᲘᲡ ოლქის მტს-ებში 1945 წელს დატაცებულ, განიავებულ და არაპირდაპირი დანიშნულებით გამოყენებულ იქნა 256,7 ტონა საწვავი.

რსფსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს მიერ ჩატარებული რევიზიით გამორკვეულია, რომ ტამბოვის საოლქო მიწგანის უფროსი ვ. ი. სპოროვი არათუ არ იღებდა ზომებს საწვავის განიავებისა და არასწორად გამოყენების აღმოსაფხვრელად, არამედ თვითონაც იძლეოდა ბრძანებებსა და განკარგულებებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის განკუთვნილი ნავთპროდუქტების უკანონოდ ხარჯვის შესახებ.

ტამბოვის მტს-მა ვ. ი. სპოროვის განკარგულებით 1945 წელს გარეშე ორგანიზაციების დამხმარე მეურნეობათა მინდვრებისა და ინდივიდუალური ბოსტნების დასამუშავებლად დახარჯა 32,5 ტონა საწვავი.

გარდა ამისა, საოლქო მიწგანმა გასულ წელს და 1946 წლის პირველ კვარტალში სხვებზე გაცემით გაანიავა 24,3 ტონა საწვავი და საცხები მასალა, მათ შორის ტამბოვის სხვადასხვა დაწესებულებას დაურიგა 11,5 ტონა ნავთპროდუქტები. ტამბოვის ბევრი ორგანიზაცია საწვავს იღებდა საოლქო მიწგანის სახელზე გამოწერილი განრიგებით.

საოლქო მიწგანში საწვავს განაგებდა მუშაკთა ფართო წრე. მაგალითად, „გლავნეფტესნაბის" ბაზიდან ნავთპროდუქტების მისაღებად 1946 წლის პირველ კვარტალში გაცემულ 25 მინდობილობას ხელი მოაწერა საოლქო მიწგანის 13 მუშაკმა, მათ შორის აგრონომებმა, ინჟინრებმა, განყოფილებათა უფროსებმა და სხვა პირებმა, რომელთაც ამის უფლება არა აქვთ.

რევიზიით გამოვლინებულ ფაქტებთან დაკავშირებით სსრ კავშირის სახელმწიფო კონტროლის მინისტრმა ტამბოვის საოლქო სამიწათმოქმედო განყოფილების უფროსს ვ. ი. სპოროვს სასტიკი საყვედური გამოუცხადა, მას გაფრთხილება მიეცა, რომ გადაყენებულ იქნება თანამდებობიდან და სასამართლო პასუხისგებაში მიეცემა, თუ სახელმწიფო წესრიგი არ დაამყარა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის განკუთვნილი საწვავის ხარჯვაში.

* * *

ჩამოთვლილი ოლქების, აგრეთვე მოსკოვისა და გორკის ოლქების, მოლდავეთის, უკრაინის, უზბეკეთის, თურქმენეთისა და ყაზახეთის სს რესპუბლიკების მტს-ებში საწვავის ხარჯვის რევიზიის შედეგების მიხედვით სავალდებულო მითითებანი მიეცა სსრ კავშირის მიწათმოქმედების მინისტრს.

მტს-ებში საწვავის აღრიცხვის, შენახვისა და ხარჯვის რევიზია გრძელდება. (საკდესი).

ᲛᲝᲕᲘᲗᲮᲝᲕᲗ ᲗᲣᲠᲥᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲓᲐᲛᲝᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲫᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ

ბევრი მწარე, მძიმე განსაცდელი ახსოვს ქართველი ხალხის — მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი კულტურული ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიას. აჭარამაც, საქართველოს ამ განუყოფელმა ნაწილმა, უზომოდ მძიმე ტანჯვა და ვაება განიცადა. ამ შესანიშნავ მხარეს დიდხანს ჯიჯგნიდნენ და აპარტახებდნენ მრავალი ჯურის ბარბაროსები, რომელთა შორის თავისი ველური წესებითა და დესპოტიზმით განირჩეოდნენ ოსმალო-თურქები.

თურქები ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ თავიანთ აუტანელ, სისხლიან რეჟიმს. ხალხისათვის მათ მოჰქონდათ სიკვდილი, განადგურება, აოხრება, გადასახლება. ისინი კრძალავდნენ ოჯახებშიაც კი ქართულ, მშობლიურ ენაზე ლაპარაკს, ქართველებს უცვლიდნენ სახელსა და გვარს თურქულ სახელსა და გვარზე. სდევნიდნენ რა ყოველივე ქართულს, თურქებს ამით სურდათ ქართველები სავსებით გაეთურქებინათ.

თურქმა დამპყრობლებმა როგორც საერთოდ სამხრეთ საქართველოში, ისე კერძოდ აჭარაშიც დაანგრიეს ხუროთმოძღვრების იშვიათი ნიმუშები: ტაძრები, მონასტრები, დასწვეს და გაანადგურეს კულტურის ძეგლები, ფერფლად აქციეს ქართული წიგნები და ყოველგვარი წერილობითი დოკუმენტები, ხელოვნების ნიმუშები.

„1859 წელს ოსმალოს სულთანმა ირადე გამოსცა, რომლის ძალით სამუსულმანო საქართველოში დასწვეს და ღახის სამი ათასზე მეტი ქართული წიგნი" (ზ. ჭიჭინაძე. „აჭარის ისტორიის კონსპექტი", გვ. 24).

ხალხს დღესაც ახსოვს, რომ თურქი მოხელეები დიდი ფორმატის ქართულ წიგნებს, რომელთა გარეყდა ტყავისა იყო, ჰგლეჯდნენ. სწვავდნენ, ხოლო ტყავისაგან ქალამნებს იკერავდნენ.

აჭარაში თურქების ბატონობის დროს მოსახლეობა საშინელი უმეცრების ბურუსში გაეხვია. აქ მაშინ მხოლოდ მაჰმადიანური რელიგიური განათლება იყო, რომელიც ვრცელდებოდა სასულიერო სკოლების, ე. წ. მედრესეების საშუალებით. მედრესეებში ახალგაზრდობის „სწავლა-აღზრდას" ეწეოდნენ მოლები, რომლებმაც ხშირად თვითონაც არ იცოდნენ ხეირიანად წერა-კითხვა. ისინი სრულიად გაუგებარ არაბულ სიტყვებს და მითიურ ზღაპრებს ძალით აჩრიდნენ პირში მოსწავლეებს. „მედრესეებთან მიახლოებისას შორით ისმოდა რაღაც გოდების მსგავსი საშინელი ხმაური. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ბავშვები იზეპირებენ ანბანს, მაგრამ მათ შორის მხოლოდ გამონაკლისი თუ სწავლობდა წერა-კითხვას". (Френкель А. С. „Очерк Чуруксу и Батума". Тифлис, 1879 г.)

მედრესეებში გამოყენებული იყო ფიზიკური სასჯელის ყოველგვარი სახე. თურქეთის მთავრობა, მუსლიმანური რელიგიის საფარქვეშ, მედრესეების საშუალებით სპობდა ყოველივეს, რაც ქართული იყო, და ნერგავდა თურქულ ენასა და თურქულ ზნე-ჩვეულებას.

თურქების მიერ მოტანილმა უმეცრებამ და ველურმა ადათებმა კიდევ უფრო მძიმე და აუტანელ მდგომარეობაში ჩააყენა აჭარელი ქალი, რომელიც გახვია შავ სუდარაში— ჩადრში და მამაკაცის მონად და გასართობ საგნად იქცა.

საწარმოო ძალთა განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომმა თურქებმა ჩვენს მხარეში სრულიად მოსპეს სოფლის მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორიცაა მევენახეობა, მეაბრეშუმეობა და სხვ., მოშალეს ქალაქები, შეაჩერეს მათი განვითარება. აჭარის უალრესად მდიდარი და თვალწარმტაცი ზღვის სანაპიროები ეკალ-ბარდით, შამბნარებით და ჭაობებით დაიფარა. გაჩნდა მალარიის კერები.

„ეს საუცხოო სანაპირო ზოლი ყოველთვის როდი წარმოადგენდა მალარიის შხამის კერას. იყო დრო, როცა ის ცხოვრების უფრო ხელსაყრელი პირობებით ხასიათდებოდა; მისი გაუკაცრიელება, დაჭაობება თურქეთის საუკუნოვანი ბატონობის დროს მოხდა... ამავე დროს უეჭველია, რომ თურქეთის აქ გაბატონებამდე მოსახლეობა გაცილებით უფრო ხშირი იყო და იმყოფებოდა უფრო კულტურულ მდგომარეობაში, რასაც მოწმობს ძველი დასახლების, ხიდების, სხვადასხვა ნაგებობათა მრავალრიცხოვანი ნაშთები". („Батум и его окрестности", И. А. Веру, Батум, 1910 г.).

ამრიგად, თურქეთის მიერ დაპყრობილი აჭარა და მთელი სამხრეთი საქართველო ეკონომიურად გაპარტახდა, ხოლო მისი კულტურული ცხოვრება სრულიად ჩაკვდა.

ყოველივე ეს ხალხში იწვევდა დამპყრობლებისადმი უსაზღვრო ზიზღსა და სიძულვილს, მაგრამ მათ, ვინც წინააღმდეგობას გაბედავდა, ახრჩობდნენ, თავს ჰკვეთდნენ, ხიდებიდან მდინარეში ჰყრიდნენ, კლდეებიდან აგდებდნენ, ქალებს ძუძუებს აჭრიდნენ.

თურქი დამპყრობლები აწარმოებდნენ ტყვეებით ვაჭრობას, ძალით იტაცებდნენ ქალიშვილებსა და ვაჟებს, მიჰყავდათ თურქეთის ბაზარზე და პირუტყვივით ჰყიდდნენ. ამავე დროს აჭარიდან თურქეთის ფაშები ახდენდნენ თავდასხმებს გურიაზე, სამეგრელოზე, იტაცებდნენ ახალგაზრდებს და მონებად ჰყიდდნენ სტამბოლში, აფრიკაში, სირიაში.

მე-17 საუკუნის ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელმაც დიდი ხანი დაჰყო საქართველოში, მოგვითხრობს თურქ სატრაპებსა და მათს თარეშზე სამეგრელოში. ის ამბობს: „...ყველა ოჯახს, სადაც ოთხი ბავშვი იყო. ერთი გამოართვა. ძალიან საცოდავი სანახავი იყო, როცა საწყალ ბავშვებს ჰგლეჯდნენ დედებს ხელიდან, გადაბამდნენ ორ-ორს ერთმანეთზე და მიჰყავდათ ოსმალებთან" (ჟან შარდენი, „მოგზაურობა საქართველოში", გვ. 35, 1935 წელი).

ცნობილია, რომ ბათუმში მყოფ მუხამედ ფაშას 1856 წელს ბათუმიდან სტამბოლს გაუგზავნია გასასყიდად გურული ქალ-ვაჟებით დატვირთული გემი.

თურქები შორეულ პროვინციებში ასახლებდნენ იმ ქართველებს, რომლებიც არ ურიგდებოდნენ მათს აუტანელ რეჟიმს და იბრძოდნენ ამ რეჟიმის წინააღმდეგ, ხოლო დამნაშავე თურქებს ჰგზავნიდნენ და ასახლებდნენ სამხრეთ საქართველოში. უკანასკნელნი აქ ყოველგვარ საზიზღრობას სჩადიოდნენ და ხალხს ავიწროებდნენ.

უფრო გვიან, XIX საუკუნეში, თურქმა დამპყრობლებმა მრავალი ქართველი აჰყარეს თავისი მშობლიური მიწა-წყლიდან და გადაასახლეს შორეულ უდაბურ ადგილებში, სადაც ისინი მასობრივად იხოცებოდნენ. ასე, მაგალითად, ჩაქვის ხეობიდან გადასახლებულ იქნა 1.000 კომლი. მარტო მერისიდან, სადაც 700-მდე კომლი ითვლებოდა, გადაასახლეს 600 კომლი. ბათუმისა და მის ახლო მდებარე რაიონებიდან თურქებმა გადაასახლეს 20.000-ზე მეტი ქართველი.

პროფესორ მ. ჯანაშვილის ცნობით, XVIII საუკუნიდან აყრილ და ბრუსას, სამსუნსა და სხვა ადგილებში მთელი მესხეთიდან გადასახლებულ იქნა ნახევარ მილიონამდე კაცი, რომლებსაც აქ, ადგილებზე, ხელი ვერ აალებინეს ქართველობაზე. მრავალი ქართული სოფელი დაცარიელდა და გაპარტახდა ამ გადასახლების შედეგად.

მიუხედავად დევნისა, შევიწროებისა, აწიოკებისა და გადასახლებისა, აჭარლები განაგრძობდნენ შეუდრეკელ ბრძოლას ქართული, ეროვნული კულტურის დაცვისა და თავიანთი მიწა-წყლის შენარჩუნებისათვის.

მრავალმა აჭარელმა დასდო თავი სამშობლოს კეთილდღეობისათვის. მრავალმა აჭარელმა შესწირა თავისი სიცოცხლე ეროვნული განთავისუფლების საქმეს. XVIII საუკუნეში ქართველი პატრიოტი — სულეიმან ფაშა ნიჟაძე მისთვის თავის მოკვეთის წინ საჯაროდ აცხადებს: „მე მუსლიმანი ვარ, მიყვარს ისლამი და მასთან მიყვარს ჩემი მამა-პაპის ენა, სამშობლო ქვეყანა და ჩემი ძმანიო. შეიძლება სამ ძმაში ერთი მუსლიმანი იყოს და ორი კიდევ სხვადასხვა სჯულისანი, მაგრამ სამივეს კი თავიანთი სამშობლო და დედაენა უნდა უყვარდესო" („ბათუმის გაზეთი", 1911 წ., № 21).

ასეთივე ბედი ეწია სამშობლოსათვის თავდადებულ სელიმ ფაშა ხიმშიაშვილს: „...ბაბა ფაშამ ხელთ იგდო ოტომანთა სულთანის წინააღმდეგ ამბოხებული სელიმი, თავი მოჰკვეთეს მას და სტამბოლში გაუგზავნეს სულთანს". (Акты Археографической комиссии, том V, стр. 828, 1873 год, Тифлис).

თავის მოკვეთის წინ სელიმ ფაშა ხიმშიაშვილმა რწმენით განაცხადა: „მე მჭრით თავს, მაგრამ გეტყვით, რომ გურჯისტანი ოსმალოს სამუდამოდ არ შერჩება, ამის ხსოვნას მე ჩემს შვილებს დავუტოვებო". სელიმ ფაშას ოცნება მუდამ ის იყო, რომ სამუსლიმანო საქართველო შეერთებოდა დედა-საქართველოს. იგი სწერდა ამიერკავკასიის მთავარმართებელს: „მე თქვენთან ომი და თქვენგან დაშორება ა[illegible] ... ბა, რომ თქვენის ჯარის დახმარებით მთელი ამ ჩვენი გურჯისტანის ადგილები ჩამორთმეული იქნეს ოსმალეთისაგან და იგი გადაკეთდეს ისეთ სახელმწიფოდ, როგორც ის ათაბეგის დროს იყო" („ბათუმის გაზეთი", 1911 წელი, № 134).

XIX საუკუნეში ცნობილია 1813, 1815, 1830, 1845 და 1852 წლების მასობრივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლები თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლებს ხელმძღვანელობდნენ ცნობილი სახალხო გმირები: დვალიძე, კიკნაძე, ცეცხლაძე, ბერიძე, ჩახალთოღლი და სხვები.

აჭარისა და ლაზეთის მებრძოლ პატრიოტებს თურქეთის მთავრობა სასტიკად უსწორდებოდა. „ლაზისტანში 1826 წელს თავი მოჰკვეთეს მეჰმედ-აღა ტუსჯიოღლის, ხოლო მისი მომხრენი დარჩიოღლი, ქუჩუოღლი, ლელოღლი და სხვები დაპატიმრებულ იქნენ; სურმენის, ოფის და გონიოს აჯანყებები კი ჩაქრობილ იქნა" (გაზეთი „Южная Речь", № 31, 28 ოქტომბერი, 1917 წ.).

მიუხედავად იმისა, რომ სამასი წლის მანძილზე აჭარა მოწყვეტილი იყო საქართველოს, აჭარლებს არ გაუწყვეტიათ კავშირი მშობლიურ ქართველ ხალხთან.

თურქთა ბატონობის დროს დამონებულმა, აოხრებულმა და საშინელ უმეცრებაში მყოფმა აჭარამ მხოლოდ მაშინ დაიწყო თავისუფალი და ადამიანური ცხოვრება, როცა შეუერთდა დედა-სამშობლოს — საქართველოს. აჭარას მხოლოდ საბჭოთა საქართველოს მშობლიურ კალთაში მიეცა საშუალება ეკონომიური და კულტურული აღორძინებისა. თურქების დროს მალარიის შხამით აშმორებული აჭარის მინდორველები დღეს აბიბინებულია ნარინჯოვან და სხვა ძვირფას კულტურათა ბაღნარებით. ჰყვავის და იფურჩქნება აჭარის სოფლები და ქალაქები. დღეს ის დაფარულია სკოლების, თეატრების, მუზეუმების, კლუბებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ფართო ქსელით.

აჭარას აქვს უმაღლესი სასწავლებელი, რომელიც ატარებს უკვდავი შოთა რუსთაველის სახელს, და მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები. აჭარას ჰყავს მშობლიურ საქართველოს წიაღში აღზრდილი მაღალი კვალიფიკაციის მქონე მრავალი სპეციალისტი — ინჟინრები, აგრონომები, მასწავლებლები, ექიმები, მეცნიერი მუშაკები, მხატვრები, მწერლები და სხვ.

აჭარელი ქალი, რომელიც წინათ წყვდიადში იყო გახვეული და მზის სხივს ნატრობდა, დღეს თავისუფალი და კულტურული ცხოვრების აქტიური მონაწილეა.

დღეს, როცა დედა-სამშობლოში ადრევე დაბრუნებული აჭარლები თავისუფლად და ბედნიერად ცხოვრობენ, თურქეთის უღელქვეშ მოქცეული ჩვენი ძმები: არტაანის, ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ისპირის, ბაიბურთის, გიუმიშხანეს, ტრაპიზონის, გირესუნის და სხვა რაიონების ქართველები თურქი მოხელეებისგან გაუგონარ დევნას, შევიწროებას, ჩაგვრასა და დამცირებას განიცდიან.

თურქეთი ჩვენდამი მუდამ ვერაგული ზრახვებით იყო შეპყრობილი. მის განზრახვას ყოველთვის წარმოადგენდა მთელი საქართველოს ხელში ჩაგდება და სამუდამოდ დაპყრობა. სამამულო ომის პერიოდშიც, როცა ქართველი ხალხი საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდა ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ, თურქეთი, რომელიც ფაქტიურად გერმანიის მხარეზე იყო, ხელსაყრელ მომენტს უცდიდა, რათა ქართველი ხალხისათვის ზურგიდან ჩაეცა სასიკვდილო ლახვარი.

საქართველომ და მისგან განუყოფელმა პატარა აჭარამაც სახელოვანი წვლილი შეიტანეს დიდ განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რითაც მოიპოვეს კანონიერი უფლება მოითხოვონ თურქეთის მიერ ძალმომრეობით წაგლეჯილი ტერიტორიების დაბრუნება—სამხრეთ საქართველოს შემოერთება დედა-სამშობლო საქართველოსთან.

ჩვენ მოვითხოვთ თურქეთის მიერ ძალით მიტაცებული საქართველოს მიწა-წყლის დაბრუნებას.

მოვითხოვთ თურქების მიერ დამონებული ჩვენი დებისა და ძმების განთავისუფლებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ნადიმ ᲜᲘᲟᲐᲠᲐᲫᲔ
ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი ჯემალ ᲜᲝᲚᲐᲘᲓᲔᲚᲘ
ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი მემედ ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ
აჭარის სახელმწიფო მუზეუმის უფროსი მეცნიერი მუშაკი ხუსეინ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲚᲕᲐᲝ ᲤᲚᲝᲢᲛᲐ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲐᲡᲠᲣᲚᲐ ᲛᲘᲛᲝᲖᲘᲓᲕᲘᲡ ᲐᲞᲠᲘᲚᲘᲡ ᲒᲔᲒᲛᲐ

მიმოზიდვის აპრილის სახელმწიფო გეგმა სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს ხაზით შესრულებულია: ტონობით 104,2 პროცენტით და ტონა-მილობით — 116,3 პროცენტით. (საკდესი).

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲗᲮᲝᲕᲜᲘᲚᲔᲑᲐ „ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ Კ. Პ. (Ბ) ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲛᲝᲙᲚᲔ ᲙᲣᲠᲡᲖᲔ"

ᲙᲘᲔᲕᲘ, 6 მაისი. (საკდესი). საბჭოთა უკრაინის მშრომელები უდიდეს მოთხოვნილებას აყენებენ „საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის" ახალ რუსულ გამოცემაზე. კიევში უკვე გაიყიდა 60 ათასზე მეტი ცალი, ოდესაში, ხარკოვში, სტალინოში, ვოროშილოვგრადში ერთ დღეს გაიყიდა 9.000, ჟიტომირში კი — 3.500 ცალი.

ივლიის კრაინის საკითხი „ოთხთა კონფერენციაზე"

ფერენც ნადის გამოსვლა უნგრეთის ეროვნულ კრებაში

რეფერენდუმის შედეგები საფრანგეთში

...პოსეება, მოჰყდებით ჰიძართა ძორჭმუხეთ და წინადადება მისცა მათ ხმა მიეცათ ახალი კონსტიტუციის წინააღმდეგ.

აჯამებს რა რეფერენდუმის შედეგებს, გაზეთი „ლუმანიტე" დღეს ხაზგასმით აღნიშნავს: რეფერენდუმის შედეგი, უწინარეს ყოვლისა, იმითაა გამოწვეული, რომ სოციალისტურმა პარტიამ უარჰყო კომუნისტების წინადადება ამ ორი პარტიის მოქმედების ერთიანობის შესახებ. „კონსტიტუციის მოწინააღმდეგეების მიერ მიღებული უმეტესობა,—სწერს გაზეთი,—მცირეა და, კამპანიის უფრო ერთსულოვნად წარმოების შესახებ კომუნისტების წინადადება რომ მიღებული ყოფილიყო, შედეგი სხვა იქნებოდა". გაზეთი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ამჟამად ერთიანობა ისე საჭიროა, როგორც არასოდეს.

5 მაისის რეფერენდუმის უშუალო შედეგი იქნება საფრანგეთში დროებითი რეჟიმის კიდევ 7 თვით განგრძობა. 2 ივნისს მოხდება არჩევნები, მაგრამ უკვე არა ეროვნული კრებისა, არამედ კვლავ დამფუძნებელი კრებისა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს საფრანგეთის ახალი კონსტიტუციის ტექსტი.

პარიზი, 6 მაისი. (ტასსი). იძლევა რა რეფერენდუმის შედეგთა კომენტარს, პარიზის რადიო აღნიშნავს, რომ იმ ინსტიტუტის ცნობების მიხედვით, რომელმაც წინასწარ მოსინჯა საზოგადოებრივი აზრი, რათა შეეტყო, თუ როგორი იქნებოდა რეფერენდუმის შედეგი, ფრანგების ფრიად უმნიშვნელო პროცენტი იცნობდა კარგად კონსტიტუციის პროექტს. ზოგმა კიდევაც განაცხადა, კონსტიტუციის პროექტს მხოლოდ რადიოს საშუალებით გავეცანითო.

საბერძნეთის მთავრობა ახალ ანტიდემოკრატიულ კანონებს ამზადებს

ათენი, 4 მაისი. (ტასსი). აქ ცნობილი გახდა, რომ საბერძნეთის მთავრობა ახილავს საკითხს განსაკუთრებული „უშიშროების კომისიების" შექმნის შესახებ, რომელთა გადაწყვეტილებით „არასასურველი ელემენტები" გაუსამართლებლად და გამოუძიებლად გაიგზავნებიან შორეულ კუნძულებზე. მთავრობა იხილავს აგრეთვე ბანდიტიზმის შესახებ 1924 წლის კანონის ცვლილებას. როგორც ცნობილია, საბერძნეთში მოქმედებს 135-ზე მეტი ფაშისტურ-მონარქისტული ბანდა. მაგრამ, იმ ღონისძიებათა მიხედვით, რომლებსაც ახლა მიმართავენ, კანონი ბანდიტიზმის შესახებ მიმართული იქნება არა ამ ბანდების წინააღმდეგ, არამედ სოფლის მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელიც მთებში ემალება შეიარაღებულ მონარქისტთა ტერორს. უფრო მეტიც, ხმები დადის, რომ მთავრობას განზრახვა აქვს ფართოდ გამოიყენოს მონარქისტული ბანდები „ანარქისტული ელემენტების" მოსასპობად.

საბერძნეთის ხელისუფალნი საპყრობილეებიდან ათავისუფლებენ გამცემლებს

ათენი, 4 მაისი. (ტასსი). 23 აპრილიდან საბერძნეთის სასამართლო ორგანოებმა გამოსცეს 129 ბრძანება საპყრობილეებიდან იმ პირების განთავისუფლების შესახებ, რომლებსაც მისჯილი აქვთ სხვადასხვა ვადის პატიმრობა გამცემლობისა და ოკუპანტებთან თანამშრომლობისათვის.

...მინსკელთა შეუსუსტებელ თამაშს, რათა საპასუხო ბურთი გაეტანათ, წარმატება არ მოჰყოლია. შეხვედრა მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 3:1.

ეს თბილისის დინამოელთა მეოთხე გამარჯვებაა მიმდინარე წლის პირველობის გათამაშებაში.

* * *

„დინამო" (მოსკოვი)—„კრილია სოვეტოვ" (მოსკოვი)

გუშინ, 6 მაისს, მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე შესდგა მორიგი მატჩი ფეხბურთში საკავშირო პირველობაზე. თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები „დინამო" და „კრილია სოვეტოვ".

შეხვედრა მოიგეს დინამოელებმა ანგარიშით 3:0.

* * *

„ცდკა" (მოსკოვი) — „კრილია სოვეტოვ" (კუიბიშევი)

კუიბიშევში შესდგა კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის წითელი არმიის ცენტრალური სახლისა და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები. შეხვედრა მოიგეს მოსკოველებმა ანგარიშით 4:1.

* * *

„ტრაქტორი" (სტალინგრადი)—„ტორპედო" (მოსკოვი)

მორიგი კალენდარული შეხვედრა სტალინგრადის „ტრაქტორმა" ჩაატარა საკუთარ სტადიონზე. მის წინააღმდეგ თამაშობდა მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდი „ტორპედო". მოსკოველებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს ორივე ტაიმი. მათ „ტრაქტორის" კარში გაიტანეს სამი ბურთი, ხოლო თავიანთ კარში არც ერთი არ მიიღეს.

* * *

„ცდკა" — „ტორპედო"

3 მაისს, მოსკოვში სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში ერთმანეთს შეხვდნენ უძლიერესი გუნდები „ცდკა" და „ტორპედო". თამაშის პირველ ნახევარში არმიის ფეხბურთელებმა ტორპედოს კარში გაიტანეს ორი ბურთი. მეორე ნახევარიც მიმდინარეობდა არმიელთა გუნდის აშკარა უპირატესობით. მათ მოწინააღმდეგის კარში დამატებით გაიტანეს ორი ბურთი და მატჩი მოიგეს ანგარიშით 4:0.

* * *

„სპარტაკის" ფეხბურთელები ალბანეთიდან დაბრუნდნენ

ალბანეთიდან დაბრუნდა „სპარტაკის" საზოგადოების მოსკოვის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი. ტირანას გარდა, სპარტაკელებმა ეუენში ვალონასა და სკუტარში და ორი კვირის განმავლობაში ოთხი მატჩი ჩაატარეს ადგილობრივ ფეხბურთელებთან. ამ შეხვედრათა საერთო შედეგი არის 12:3 მოსკოველთა სასარგებლოდ.

სპარტაკელები მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის პირველობის გათამაშებაში. 9 მაისს ისინი პირველად შეხვდებიან „ცდკა"-ს გუნდს. (ტასსი).

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

...ტრიესტული კორესპონდენტის ცნობას იმას შესახებ, რომ 30 აპრილს ღამით ფაშისტთა ბანდებმა ტრიესტის ქუჩებში მთელი რიგი თავდასხმები მოახდინეს ტრიესტელ ანტიფაშისტებსა და ტრიესტში იუგოსლავიის დაწესებულებათა წარმომადგენლებზე. დანებით შეიარაღებულმა ფაშისტმა ბანდიტებმა ქუჩაში მძიმედ დასჭრეს საგანგებო მიწოდებათა მოხელე რადნიხარა. რამდენიმე ...მოსამსახურე მძიმედ დაიჭრა მუცელში, ხოლო ორი სხვა მსუბუქად დაშავდა. ყველა თავდამსხმელი შეიარაღებული იყო დანებით და სამხრეთ იტალიურ კილოკავზე ლაპარაკობდა. სამოქალაქო პოლიციას, რომელიც კეთილგანწყობილად ეპყრობა ფაშისტ დამნაშავეთა მოქმედებას, ამჯერადაც არაფერი გაუკეთებია ამისათვის, რომ მშვიდობიანი მოქალაქეები დაეცვა ფაშისტთა თვითნებობისაგან.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

7 მაისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაიკომების ლექტორების, მომხსენებლებისა და კონსულტანტებისათვის შესდგება საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ლექტორის ამხ. სიმონიშვილის ლექცია თემაზე: „საბჭოთა ხალხის მსოფლიო ისტორიული გამარჯვება".

7 მაისს, საღამოს 8 საათზე, დოცენტი ქადეიშვილი ჩაატარებს ინდივიდუალურ კონსულტაციას სსრ კავშირის ხალხთა ისტორიაში.

ლ ე ქ ც ი ა

11 მაისს, დღის 3 საათზე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი აწყობს პროფესორ ზალკინდის ლექციას თემაზე: „სტერეოქიმია თანამედროვე ეტაპზე". ლექცია შესდგება ქიმიის კორპუსის (მარის ქ. № 3) № 26 აუდიტორიაში.

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ა

8 მაისს, დღის 3 საათზე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აუდიტორია № 95) იურიდიული ფაკულტეტის ლექტორთა სემინარის მორიგ მეცადინეობაზე დოცენტი ე. ნიძე წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „შრომის უფლებრივი ერთიერთობის შეწყვეტის საფუძვლები და მისი კლასიფიკაცია".

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში მორიგი მეცადინეობა შესდგება ოთხშაბათს, 8 მაისს, საღამოს 7 საათზე, კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტის შენობაში (ლენინის ქ. № 41).

მოქალაქე **გრიგოლ გერასიმეს-ძე გრიგორენკომ,** მცხოვრებმა მონტინის ქ. № 14, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **ნატალია პანტელეიმონის-ასულ გრიგორენკოსთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ანდრო ივანეს-ძე კობახიძემ,** მცხოვრებმა წყალტუბოში, აღძრა საქმე კოოპერაციის ქ. № 12 მცხოვრებ მოქალაქე **თამარ ალექსანდრეს-ასულ გველესიანთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის სტალინის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

ოჯახი იუწყება **მარგო სიმონის-ასულ აგაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 7/V, 6 ს. ორჯონიკიძის, 16.

თეატრებში

7 მაისს: ხანკულტურის—„ნალექი". მოზარდ მაყურებელთა რუსული — „პოლკის შვილი". თოჯინების ქართული — ორი წარმოდგენა — „ნანა ტყეში" და „ალადინის ჯადოსნური ლამპარი". რუსული — ორი წარმოდგენა—„ბატის პუკი" და „პეტრუშკა უცხოელი".

კინოებში

7 მაისს: რუსთაველის სახელობის — „ბემბი". ოქტომბერი — „15 წლის კაპიტანი". დამკვრელი — „კარო". კომკავშირელი—„მეორე ქალი და მეწყემსი". სპარტაკი—„ოთხთა გული". ლუქსემბურგის სახელობის და 26 კომისრის სახელობის — „ცის ბელმავალი".

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1946 წლის 16 მაისს, დღის 2 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში (ძერჟინსკის ქ. № 8), ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე **ერნესტინა ბორისის-ასული ლვინიევა (ლვინიაშვილი)** ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **«Описание путешествий Ж. Шардена, как источник информации о Грузии».**

ოფიციალური ოპონენტები: ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ა. ნამორაძე და ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი პროფესორი ვ. დონდუა.

დისერტაციას გაეცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული) სამუშაო საათებში.

დირექცია

ოჯახი იუწყება **არტიმეზ გლახუნის-ასულ იმნაძე-ხუხუნაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 8/V, 5 ს. ელბაქიძის დაღმართი, 29.

მეუღლე გაიანე, შვილები გიორგი, მარო, კონსტანტინე და ირინე იუწყებიან **კონსტანტინე ივანეს-ძე ცაგარელის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7/V, 8 ს. გამოსვენება 8/V, 5 ს. ბელინსკის, 23.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გადასახლება-დასახლების სამმართველოს თანამშრომლები იუწყებიან **გიორგი სიმონის-ძე ძოწენიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 8/V, 5 ს. შაუმიანის, 3.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის თანამშრომლები იუწყებიან პატარა **ომარი ცაგარეიშვილის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოს—3.06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და ... სპორტის—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, ხტამბის დირექტორის—3-77-70.

... კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000. უე 00053